# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძ-ოლის გაწევა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 7 მარტი. 2019 წ. №47 (8713) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პარლამენტში პირველი ყოველწლიური მოხსენებით წარდგა



# დღეს საქართველოსთვის უპრეცედენტო პერსპექტივა იშლება

დღეს მაქვს პატივი, თქვენ და ქართველ ხალხს პირველად მოგმართოთ ყოველწლიური მოხსენების ფორმატში.

ჩემი ინაუგურაციიდან ჯერ არ გასულა ასი დღე. ამ საპასუხისმგებლო გზის საწყის ეტაპზე მინდა მოგახსენოთ ჩემი პირველი ნაბიჯების შესახებ და გაგიზიაროთ ჩემი პოზიციები მნიშვნელოვან საკითხებზე.

დავიწყებ უცხოეთში პირველი ვიზიტების მიმოხილვით – იმით, რამაც უფრო მეტად მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

ამ ვიზიტების თანამიმდევრობა შემთხვევითი არ ყოფილა: როგორც გაცხადებული მქონდა, ჯერ ევროკავშირსა და ნატოს ვესტუმრე, შემდეგ – ევროპის დღევანდელ ორ წამყვან მეგობარ ქვეყანასა და პარტნიორს – საფრანგეთსა და გერმანიას; როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, მოვინახულე ჩვენი ჯარისკაცები, რომლებიც შორეულ ავღანეთში თავიანთი პროფესიონალიზმითა და სიმამაცით საქართველოს ასახელებენ. ქაბულში შევხვდი ავღანეთის პრეზიდენტს; ჩვენს რეგიონში კი პირველი ვიზიტით მეზობელ და მეგობარ აზერბაიჯანს ვეწვიე და ... ვერ დავივიწყებ კახში ისტორიული ჰერეთის მოსახლეობის დახვედრას.

მიღების დონე, სითბო, ღიაობა და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა, რომელიც ყველგან მკაფიოდ იყო გამოხატული, განპირობებულია დღევანდელი საქართველოს მიღწევებით, მის მიმართ ნდობის ხარისხით და მისი რეალური პერსპექტივებით და არა – პიროვნული დამოკიდებულებებით. ეს ჩემთვის ძალიან საამაყო იყო და მინდა, რომ ეს განცდა თქვენც გაიზიაროთ, რამეთუ ეს ჩვენი ერთობლივი, ჩვენი ერის მიღწევაა!


იხ. 2-3 გვ.


# ჟიული შარტავას ომი და მშვიდობა




დღეს ჟიული შარტავა 75 წლისა გახდებოდა.

სხვისი არ ვიცი და ჩემთვის იგი სამშობლოსთვის ისეთივე ზვარაკად შეწირული გმირია, როგორიც პაატა სააკაძე, საუკუნეთა სიღრმიდან რომ წარმოადგენს მამულის სამსხვერპლოზე ამაყად ასულთა კრებსით სახეს.

შეიძლება, საქართველოს ეროვნული გმირის ბედისწერა ერთგვარ მისტერიასაც დავუკავშიროთ – იგი ხომ დიდი სამამულო ომის ბობოქარი ეპოქის შვილია, სადაც ბრძოლის ველზე მისი დაახლოებით 350 ათასი(!) თანამემამულე დაეცა.

შენების ნიჭით დაჯილდოებული სახელოვანი მეოცესაუკუნელი ისტორიას მშვიდობიან ფრონტზე მოპოვებული გამარჯვებებითაც შემორჩება, როცა საკუთარი ომახიანი სიტყვა თქვა კომკავშირისა და რუსთავქალაქის საკეთილდღეოდ მოღვაწეობის ჟამს. ეს მათთვის, ვინც მაშინდელ წარმატებათა მნიშვნელობას აკნინებს და გამორჩეულ ლიდერთა ამაგის მიფუჩეჩებას ცდილობს.

ვინატროთ, რომ აფხაზეთში ჩაფერფლილი ჟიული შარტავას სიცოცხლე მომავალ თაობებს სამაგალითოდ გამოადგეთ. ამით ქართული სახელმწიფო მხოლოდ მოიგებს.

**გია პლატონიშვილი**





4

5

თეიმურაზ მჟავია — რაისა ქარაია

# აქა ამბავი ღირსისა დასტაქარისა და დაუნახავთა მისთა საქმეთა საშურთა



3

# კრიმინალები მარტის კატებივით კნაოდნენ...



# რუსთაველისა და სარგის თმოგველის, ოპიზრების სამშობლო მოსახლეობის დაცლისგან უნდა გადავარჩინოთ!

6

# გელა ჩარკვიანის საიუბილეო საღამო

9





# დღეს საქართველოსთვის უპრეცედენტო პერსპექტივა იშლება

(პირველი გვერდიდან)

**დღეს** საქართველოსთვის, ევროკავშირში მიმდინარე ცვლილებებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე, უპრეცედენტო პერსპექტივა იხსნება. ევროპის სამომავლო სახე დღეს იკვეთება; ახლახან საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა 27 ქვეყანას საგანგებოდ მიმართა და შესთავაზა ახალი ევროპის კონცეფცია – „ყველასთვის ღია ევროპა“, რომელიც გაფართოებისა და გაწევრების არსებული მოდელების გადააზრებას მოითხოვს. იგი გვიხსნის ახალ გზებს, რათა უშუალოდ ჩავერთოთ „სხვადასხვა სიჩქარით“ წინ მიმავალ ევროპაში. ასეთ გზაზე ნაწილობრივ უკვე ვდგავართ, – გავხდით მთელი რიგი პროგრამებისა და ფორმატების მონაწილე და მივისწრაფით სხვა მიმართულებებში ჩართვისკენ. ასეთი ნაბიჯ-ნაბიჯ „შესვლის“ გამოცდილება გვაქვს განათლების, უსაფრთხოების, ტრანსპორტისა და სხვა სფეროებში. ვართ ევროპოლის სრულყოფილი წევრი. ვითხოვთ, რომ საქართველო სრულფასოვნად იყოს ინტეგრირებული ევროპის კულტურულ სივრცეში. ჩვენ მიმართ მაღალია მზადყოფნა პარტნიორების მხრიდან, რათა გაითვალისწინონ ჩვენი, როგორც ასოცირებულ ქვეყნებს შორის ყველაზე წარმატებული წევრის, განსაკუთრებული პოზიცია.

ნატოს დამოკიდებულება ჩვენ მიმართ უაღრესად დადებითია. ჩემი ვიზიტის დროს ნატოს წევრი ქვეყნებისგან, გენერალური მდივნისა და სამხედრო ხელმძღვანელობისგან საქართველოს მიღწევებთან, მის მიერ დაკმაყოფილებულ სტანდარტებსა და შესრულებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით მხოლოდ მაღალი შეფასებები მოვისმინე.

საქართველოში ჩატარებულმა სამხედრო თუ პოლიტიკურმა რეფორმებმა მაღალი შეფასება მიიღო. ამის პირდაპირი ნიშანია 2019 წელს დაგეგმილი მთელი რიგი ღონისძიებები, ნატოს გენერალური მდივნის, სამხედრო კომიტეტის, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სტუმრობა და მასშტაბური წვრთნების ჩატარება; შავი ზღვის უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების საკითხების მიმართ გაზრდილი ინტერესი და თანამშრომლობის გაღრმავება.

ჩვენ არ ვეგუებით და არც შევეგუებით ტერიტორიების ოკუპაციას, გატაცებებს და მცოცავ ხაზებს, რაც ძალადობისა და შანტაჟის პოლიტიკის ნაწილია. არც იმას ვეგუებით, რომ მოლაპარაკებების ფორმატები დღეს მხოლოდ ტექნიკურ დონეზე მიმდინარეობს. ჩვენს პარტნიორებთან ვისაუბრე მაღალი პოლიტიკური ფორმატის განახლების აუცილებლობაზე. მათ უნდა გააგებინონ რუსეთს, რომ 21-ე საუკუნეში ნულოვანი ჯამის თამაში არავის ინტერესში აღარ არის და აგრესიული პოლიტიკა წარსულში ჩარჩენის გზაა.

საფრანგეთში ვიზიტმა საშუალება მომცა, საქართველოს სახელით მადლობა მეთქვა საფრანგეთისთვის იმისათვის, რომ 1921 წლის შემდეგ მან შეიფარა საქართველოს პოლიტიკური ემიგრაცია, ხელი შეუწყო საგანძურის დაბრუნებას, 2008 წელს კი ჩვენს ქვეყანას ცეცხლის შეწყვეტის პროცესში დახმარება აღმოუჩინა.

მეტად სიმბოლურია პრეზიდენტების ხელმოწერით დიმიტრი ამილახვრის დიალოგის დაფუძნება, რომლის ფარგლებშიც საქართველო და საფრანგეთი თანხმდებიან, გააძლიერონ თანამშრომლობა პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში.

ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთი, ამერიკასთან ერთად, გახდა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში და არის საჰაერო თავდაცვის აღჭურვილობის მომწოდებელი.

კულტურის დარგში კი გვაქვს შემოთავაზება – ვუმასპინძლოთ პარიზის 2020 წლის წიგნის ბაზრობას.

საფრანგეთი და გერმანია მხარს უჭერენ ჩვენი მოქალაქეებისთვის სამუშაო კვოტების გამოყოფას. ამან უნდა შეამციროს არალეგალური მიგრაცია. ამავდროულად, იგი ხელს შეუწყობს ჩვენს მოქალაქეებს პროფესიული განათლების მიღებაში.

უნდა აღინიშნოს იუნესკოში ჩატარებული შედეგიანი შეხვედრა. დადებითად შეფასდა საქართველოში იუნესკოს რეგიონალური ცენტრის დაარსების იდეა, რომლის განხორციელება საქართველოს რეგიონში გეოპოლიტიკურ როლზე აისახება.

ამავდროულად, განვიხილეთ ტოლერანტობის მსოფლიო არამატერიალური ძეგლების სიაში შეტანის საკითხი. ტოლერანტობა არის ღირებულება, რომელიც ისტორიულად იყო საქართველოსა და მთლიანად, კავკასიის საყრდენი. დღეს იგი ყველგან და, ზოგჯერ ჩვენთანაც, რყევას განიცდის. ტოლერანტობის კულტურულ მემკვიდრეობად აღიარება მსოფლიოში მის დაცვას ემსახურება.

საგარეო ურთიერთობებთან ერთად, პრეზიდენტის როლი საზოგადოების ახალ საფეხურზე აყვანის კუთხით არანაკლებად საჭიროა. ამისათვის დავსახე პრიორიტეტები – რეგიონები, კულტურა, დიასპორა, საზოგადოების დაუცველი ფენები.

რეგიონების განვითარება ქვეყნის მომავლის ქვაკუთხედია. მიმაჩნია, რომ რეგიონებში პრეზიდენტის ვიზიტები უნდა იყოს უცხოეთში ვიზიტებზე არანაკლებად ხშირი და შედეგიანი. თელავში ფიცის დადება ამ პრიორიტეტის ხაზგასმა იყო. ჩავედი ზუგდიდში, ქუთაისში, დაგეგმილი მაქვს ჩასვლა ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და გურიაში.

კულტურა ჩემი უცვლელი პრიორიტეტია როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ის არის აუცილებელი პირობა რეგიონების განვითარებისთვის, რამეთუ ეკონომიკა კულტურის გარეშე ვერ განვითარდება; ვერც ადგილზე დავაკავებთ ახალგაზრდობას, თუ მათ არ ჩავრთავთ კულტურულ ცხოვრებაში.

კულტურულ ცხოვრებაზე ხელმისაწვდომობა საზოგადოების ცხოვრების ხარისხის მთავარი საზომია. ამ მიმართულებით ჩვენ დავიწყეთ კონცეფციაზე მუშაობა და ახლო მომავალში მას წარვუდგენთ ფართო საზოგადოებასა და კულტურის წრეებს.

მოგეხსენებათ, დიასპორა, რეგიონებთან და კულტურასთან ერთად, არის კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც პრიორიტეტად მივიჩნევ. მინდა, რომ ყურადღება გავამახვილო რამდენიმე ასპექტზე.

საზღვარგარეთ ვიზიტების დროს შევხვდი ჩვენს სტუდენტებსა და ემიგრანტებს. ემიგრანტებისთვის, განსაკუთრებით საზღვარგარეთ დაბადებული თაობისთვის, სამშობლოსთან კავშირის შესანარჩუნებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოქალაქის სტატუსს.

**ჩემი ინიციატივები:**

წლების განმავლობაში ჩვენთან არსებობდა ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური კვლევების მთავარი ცენტრი. აქ ჩამოდიოდნენ ქართველოლოგის პროფესიის დაუფლების მსურველები; აქ ვზრდიდით ჩვენს უძლიერეს მეცნიერებს. ეს არის დარგი, რომელშიც ჩვენს ქვეყანას კონკურენტი ვერ ეყოლება. ეს ადგილი უნდა დავიბრუნოთ.

ენათმეცნიერებისა და ქართველოლოგიის გარდა, ეს ცენტრი უნდა აწარმოებდეს ინტერდისციპლინარულ კვლევებს საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემს, ჩვენ მივაწოდოთ საერთაშორისო საზოგადოებას სრულყოფილი ინფორმაცია საქართველოსა და რეგიონის შესახებ.

ასეთი ცენტრის არსებობა საქართველოს მომავლისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. იგი ვერ აღდგება და ვერ იარსებებს ძლიერი სახელმწიფო ნებისა და მხარდაჭერის გარეშე.

ამ იდეის მხარდაჭერა პატრიარქის მხრიდან გადამწყვეტია.

არქეოლოგიის დარგის გაძლიერება. მხარდაჭერა პატრონაჟის სახით გამოვუცხადე ქართულ-პოლონურ არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელიც ქუთაისში ძველი კოლხეთის კულტურის კვლევას ისახავს მიზნად. ასევე, გერმანულ მხარეს შევთავაზე ჩვენთან გერმანული არქეოლოგიური ინსტიტუტის ფილიალის დაფუძნება, რაც ხელს შეუწყობს „ქუთაისის ძველი კოლხური კულტურული ლანდშაფტის“ კვლევას და შემდეგ - იუნესკოში ნომინაციის წარდგენას. კოლხეთი, რომელიც უძველესი დროიდან გვაკავშირებს ევროპასთან, ევროპაში ჩვენი ერთგვარი სავიზიტო ბარათი შეიძლება იყოს.

მდიდარი არქეოლოგიური მემკვიდრეობის ქვეყანაში აუცილებელია, რომ არქეოლოგიის მიმართულება განვითარდეს და ეს პროფესია მიმზიდველი გახდეს. იმ დროს, როცა ბევრი არქეოლოგიური კერა ომებისა და ნგრევის შედეგად მსოფლიოში მიუწვდომელი გახდა, საქართველოს თავისი უნიკალური როლის დამკვიდრება შეუძლია.

საკონფერენციო ტურიზმის ხელშეწყობა. ჩვენი ქვეყნის მიმართ შექმნილი მაღალი ინტერესიდან და მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, საიმედო და სწრაფად გასავითარებელ მიმართულებას წარმოადგენს საკონფერენციო ტურიზმი.

ამ კუთხით ქუთაისში, პრაქტიკულად, უკვე გვაქვს საერთაშორისო მასშტაბის საკონფერენციო ცენტრი – კერძოდ, ყოფილი პარლამენტის შენობა. საკონფერენციო დანიშნულებისთვის მას არ სჭირდება რადიკალური ტრანსფორმაცია. ამავე დროს, ეს იქნება ყველაზე სწორი გზა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისათვის. ქუთაისის ინფრასტრუქტურა - აეროპორტი, რკინიგზა და ავტობანი აკმაყოფილებს ასეთი ცენტრისთვის საჭირო ყველა მოთხოვნას. წყალტუბოს სასტუმროთა ქსელი კი ბუნებრივად მიუერთდება ამ ახალ კომპლექსს და საინვესტიციო მიმზიდველობასაც შეიძენს.

დიასპორის ჩართულობის გამყარება. აუცილებლად მიმაჩნია, რომ დიასპორას პარლამენტში ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი, ინტერესების დამცველი. ასეთი პრაქტიკა არსებობს ევროპის ყველა ქვეყანაში, სადაც დიასპორა მრავალრიცხოვანია. უნდა ვიმსჯელოთ ამ გამოცდილების გაზიარებაზე.

ასევე სასურველია ერთი ფანჯრის პრინციპზე აგებული „ემიგრანტის სახლის“ დაარსება, რათა ჩამოსული თანამემამულეებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს ყველა საჭირო ინფორმაცია.

საზოგადოებაში შერიგების პროცესის ხელშეწყობა და საზოგადოებრივი თანხმობის აღდგენა:

ჩვენს ქვეყანაში, და არა მხოლოდ ჩვენთან, პოლარიზაციამ უკიდურესი ხასიათი მიიღო. ძალადობრივი გარემო თითოეული ადამიანის ცხოვრებაში აღწევს.

საზოგადოება ელოდება ამ ვითარების ჩაცხრობას. მას სჭირდება დამშვიდება და შერიგება. ეს შეუძლებელი იქნება, თუკი რაიმე ფორმით ცივილურ ჩარჩოებში არ მოვაქცევთ საინფორმაციო და სოციალურ ქსელებში განვითარებულ პროცესებს, – დეზინფორმაციის, ცილისწამების, სიძულვილის ენის, პირადი ცხოვრების კადრების ნიაღვარი უნდა შევაჩეროთ.

უმძიმესი ტრაგედია, რომელიც ხორავას ქუჩაზე მოხდა, მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში დაგროვილი სიძულვილისა და ერთმანეთის გაუტანლობის შედეგია. იმ რეალობაში, როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის დეფიციტია, საზოგადოება, და პირველ რიგში – ახალგაზრდები ჩვენგან მაგალითს ელოდებიან. საზოგადოებრივი თანხმობა არის ერთადერთი პასუხი ამ მოლოდინზე.

მე გამოვედი ასეთი ინიციატივით, რამაც გამოიწვია ორმაგი დამოკიდებულება და შიში იმისა, რომ იგი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისკენ იყო მიმართული. თუმცა ხაზი უნდა გავუსვა იმას, რომ, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლების დაცვა არის უმთავრესი პრინციპი, რაზეც დგას თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფო. მეორე მხრივ კი, ვერ დავხუჭავთ თვალს იმ საფრთხეზე, რომელიც კონკრეტულ ადამიანებს და მთელ საზოგადოებას ცილისწამებისა და ცრუ ინფორმაციების სახით ემუქრება. ამ ფორმით არჩევნებში ჩარევა ან დესტაბილიზაციის პროვოცირება გახდა ახალი ხერხი მტრული ძალებისათვის. ამას ეხმიანება ეუთოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. ამას პასუხობს ევროკავშირში „დემოკრატიის დაცვის ცენტრი“ დაფუძნების ახალი იდეა და ახალი რეგულაციები რიგ ქვეყნებში (თუნდაც, ინგლისის სამეფო კარის განცხადება).

ჩემს ინიციატივას უკვე მოჰყვა კონსულტაციები არასამთავრობო სექტორთან და ეს პროცესი გაგრძელდება. იმედი მაქვს, შევძლებთ ერთობლივი რეკომენდაციების წარდგენას.

სოციალური და ჯანდაცვის სფერო ასევე წარმოადგენს პრეზიდენტისთვის მთავარ გამოწვევას, სადაც მისი აქტივობა აუცილებელია – იმის მიუხედავად, რომ მას ცალკე რესურსები პრობლემების გადაჭრისთვის აღარ გააჩნია.

ჩვენს ქვეყანაში, გარკვეული ეკონომიკური წინსვლის მიუხედავად, მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ ვერ გახდა ამ წინსვლის თანამონაწილე.

უმუშევრობა, უსახლკარობა, დაავადებების სიხშირე, სოციალური დაუცველობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ არაინკლუზიური მიდგომები დღევანდელი ჩვენი მთავარი, ვიტყოდი - სტრატეგიული გამოწვევებია.

ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისთვის აქ, ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე დიაგნოსტიკური და სამკურნალო შესაძლებლობის გაჩენა. სიმსივნით დაავადებულ ბავშვებსა და მათ მშობლებს აღარ უნდა სჭირდებოდეთ საზღვარგარეთ გამგზავრება, თუნდაც, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისათვის. არსებობს პედიატრიული ონკოლოგიის არამომგებიანი ცენტრის მონახაზი, რომელიც გადაჭრის ამ პრობლემას. მარიამ ჯაშთან ერთად ვაპირებთ ამ პროექტის პარლამენტისა და საზოგადოების წინაშე წარდგენას.

ასევე, პრიორიტეტულია სოციალური სახლების მშენებლობა. ამ კუთხით ბევრი ქვეყნის პრაქტიკის გაზიარება შეგვიძლია.

შეწყალება, სასამართლო სისტემა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები,

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შექმნა სწორედ ისეთი საკითხებია, რომლებიც დღეს საზოგადოების მაღალ ინტერესს იწვევს.

შეწყალების ის პრაქტიკა, რომელიც წინა პრეზიდენტების დროს არსებობდა, ზოგჯერ უფრო ამნისტიას ემსგავსებოდა, ვიდრე იმ კონცეფციას, რომელიც საფუძვლად უდევს პრეზიდენტის დისკრეციულ უფლებას.

გათვალისწინებულია შეწყალების კომისიის იუსტიციის სამინისტროში გადასვლა. კომისიაში დამატებით ჩართულნი იქნებიან სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები. იგი განიხილავს იმ განცხადებებს, რომლებიც დააკმაყოფილებს ახალ კრიტერიუმებს და მოამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს. საბოლოო გადაწყვეტილება კი რჩება პრეზიდენტის პრეროგატივად.

გადაწყვეტილების მიღებისას ვერ იქნება გათვალისწინებული პირადი, სოციალური, რელიგიური თუ პოლიტიკური ხასიათის ჩარევები. შეწყალება გამორიცხავს იმასაც, რომ საზოგადოებას ან კონკრეტულ ადამიანებს განემარტოს რომელიმე კონკრეტულ საქმეზე შეწყალების მიღების, ან მასზე უარის თქმის, საფუძველი.

რაც შეეხება მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის საკითხს: მთავარი მამოძრავებელი პრინციპი არის სასამართლოს მიმართ ნდობის გამყარება და გაძლიერება. ვიმედოვნებ, რომ ამ საზომით და მხოლოდ ამ საზომით იმსჯელებს საკანონმდებლო ორგანო, რომელიც მოსამართლეების განწესებისათვის აუცილებელ კრიტერიუმებზე მუშაობს.

მოსამართლეების შერჩევის პროცესში პრეზიდენტის პირადი შეხედულებების გაჟღერება მიუღებელია, რამეთუ ეს იქნება ჩარევა სასამართლო და საკანონმდებლო ორგანოების კომპეტენციაში. ერთადერთი რამ, რაც პრეზიდენტს შეუძლია, -შეახსენოს ყველა მოსამართლეს, რომ მათ პროფესიის შესაფერისი თავშეკავება ევალებათ. მიუღებელია მათგან პოლიტიკური განცხადებები. ეს უარყოფითად აისახება სასამართლოს მიმართ ნდობაზე.

მოგეხსენებათ, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნას მხარს უჭერს ვენეციის კომისიაც. ასევე, უვადოდ დანიშვნის პრაქტიკა არსებობს რიგ ქვეყნებში, თუმცა მათი შერჩევის პროცედურები ძალიან მაღალი მოთხოვნებითა და კრიტერიუმებით ხასიათდება.

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ გამართული ყველა ჩემი შეხვედრის დროს ჩვენი პარტნიორები ხაზს უსვამენ სასამართლო რეფორმის გაგრძელებისა და სასამართლო სისტემის მდგრადობის მნიშვნელობას. მე ამ პროცესს დიდი ყურადღებით ვაკვირდები.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს დაარსების გარშემო დაწყებულმა საპარლამენტო დისკუსიამ წარმოშვა აუცილებლობა, რომ გარკვეულიყო პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლებში მისი ინფორმაციით უზრუნველყოფის საკითხი. ამ თემაზე პოზიციების შეჯერება მოხდა.

დაბოლოს, რაც შეეხება პარლამენტში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს: ამ შემთხვევაშიც არ გამოვხატავ ჩემს პირად მოსაზრებებს ამა თუ იმ პარტიაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ერთადერთი — შემიძლია გამოვთქვა ჩემი აზრი პარლამენტში შექმნილ ახალ მოცემულობასთან დაკავშირებით, — როცა აღარ არსებობს საკონსტიტუციო უმრავლესობა, და სადაც, შესაძლოა ფრაქციების ან, თუნდაც, უმცირესობის გადალაგება მოხდეს.

ეს პროცესები, ჩემი გადასახედიდან, ახალი, საპარლამენტო სისტემის ბუნებრივი ნაწილია. ასეთ სისტემებში საკანონმდებლო უმრავლესობის მიღწევისთვის ან მთავრობის დამტკიცებისთვის ხანდახან საჭირო ხდება კოალიციების შექმნაც.

მოვლენების ასეთი განვითარება არც უნდა გვიკვირდეს და არც უნდა იყოს აღქმული დესტრუქციულ ან საფრთხის შემცველ ფაქტორად, თუკი იგი არ ემუქრება ქვეყნის სტაბილურობასა და მის მთავარ კურსს.

ამდენად, ამ პროცესებში დაშლა, გაერთიანება თუ გადაადგილება ნაკლებად მნიშვნელოვანია და უფრო საყურადღებოა პოლიტიკური დისკურსი, მკვეთრი განცხადებები, პირადი შეურაცხყოფის შემთხვევები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ხვალინდელი თანამშრომლობის ფორმატების შექმნას...

**საკმაოდ საინტერესო ამბები ხდება ამ ბროკოლჭამიების თავს.**

„საინტერესო დროში გეცხოვროსო“ არის ასეთი ჩინური წყევლა. ბროკოლჭამიებს მგონი სწორედაც რომ „საინტერესო დრო“ წამოეწიათ.

**1. „წერილი“, რომელიც არ არსებობს.**

**2. ღარიბაშვილის დაბრუნება პოლიტიკაში.**

„წერილის“ ამბავი ფაქტობრივად გარკვეულია და როგორც მოჭადრაკეები იტყვიან — დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმეა (მგონი ნოდარ დუმბაძის ფრაზაა). ხაზარაძეს არ ჰყავს დასაყრდენი ძალა. ხალხი, ვისაც საზოგადოება ენდობა და ვისაც ნებისმიერი გამოწვევის დროს, გვერდით დაუდგება.

1788 წელს მეფე ლუი XVI-ის (1774-1793) ფინანსების გენერალურმა კონტროლიორმა ნეკერმა გამოაქვეყნა ფინანსური ანგარიში, რითაც პირველად აბსოლუტიზმის ისტორიაში საჯარო გახდა სახელმწიფო ბიუჯეტი და ამასთან ერთად გამოაშკარავდა, რომ სახელმწიფო გაკოტრების ზღვარზე იდგა.

ნეკერი გადააყენეს და ამის გამო (კიდევ სხვა მიზეზებიც იყო. მაგალითად როგორც „პოტიომკინზე“ წვნიანში ნაპოვნი მატლი), 1789 წლის 14 ივლისს, ხალხი აჯანყდა.

არც ხაზარაძე არ არის ნეკერი და არც ბროკოლჭამიები, გვარამიას მეთაურობით არ არიან ლეიტენანტი შმიდტი და „პოტიომკინის“ მატროსები.

ხალხი არანაირად არ დადგება მძარცველი ისტიტუტის, ბანკის გვერდით!

ასე რომ, ის „შავი“ პერსპექტივა, რომელსაც „რუსთავი-2“-იდან ყოველდღე ვისმენთ, მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობაში დაძაბულობის გაზრდისკენაა მიმართული და ე.წ. პოლიტიკოსებს სალაყბო თემას აძლევს.

რაც შეეხება იმ „წერილს“, რომელიც რაღაც ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა, რომლის მსგავსის დაბეჭდვა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, უკვე დაცინვის საგანი გახდა.

დაცინვის, რომელიც, პირველ რიგში, მამუკა ხაზარაძის მისამართით იწერება და მის, როგორც ჭკვიანი კაცის იმიჯს, ეჭვის ქვეშ აყენებს.

ამ თემაზე ბევრს აღარ ვილაპარაკებ, რადგანაც ჯერ ერთი, უკვე ბევრი ითქვა, და მეორეც -აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ TBC ბანკის მომავალი, ზუსტად იმ სტანდარტებით გადაწყდება, რასაც ნორმალური, ცივილიზებული საფინანსო ურთიერთობები ითვალისწინებს.

* * *

**რაც შეეხება კვირის მეტად მნიშვნელოვან მოვლენას — ირაკლი ღარიბაშვილის მიერ პარტიულ სტრუქტურებში ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის დაკავებამ, ძალიან ბევრი „ი“-ს თავზე, საკმაოდ მსუყე წერტილი დასვა და საზოგადოებას გაუჩნდა იმის აღქმა, რომ ბიძინა ივანიშვილმა, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ გაცემული დაპირების — არსებული ურთულესი სიტუაციის გამოსწორების შესახებ, შესრულება დაიწყო.**

ეს ფაქტი ძალიან ჰგავს ლენინგრადის ბლოკადის დროს საბჭოთა გენშტაბში განვითარებული მოვლენების შესახებ გავრცელებულ ლეგენდას: სტალინმა გენშტაბს დაუსვა შეკითხვა — რას იტყვით ვოროშილოვის ნაცვლად ჟუკოვის დანიშვნაზე,?! გენშტაბს ერთადერთი შეკითხვა ჰქონდა — როგორ მოხდებოდა ლენინგრადიდან მისი გამოყვანა და ჟუკოვის ჩასვლა. როგორც კი შეკითხვა დასრულდა, კაბინეტში ვოროშილოვი შემოვიდა და სატელეფონო ხაზზე ჟუკოვი ჩაერთო.

ვიმეორებ — სავარაუდოდ ეს ლეგენდაა, მაგრამ ოცნებაში დღეს არსებული სიტუაცია ძალიან ჰგავს იმ „პერეტრუბაციებს“, რაც „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოში მოხდა და მოხდება.

ამ ცვლილებით ხაზი გაესვა „აგრესიული ლებერალიზმის“ ზეობის დასასრულის დასაწყისს.

**„ჩემ პერიოდში ამ დესტრუქციული ელემენტების რეიტინგი 6-7%-ზე იყო დასული. როგორ მოხდა, ბოლო სამ წელიწადში ამ ძალის რეანიმირება და გაძლიერება, როგორ აიღეს კიდევ ხმები. მე მქონდა ხისტი პოლიტიკა, გახსოვთ, ჩემ დროს მოხდა ამ დანაშაულების გამოძიება.**

**ეს ადამიანი კრიმინალები არიან, მათ შორის უგულავა და სხვები არიან ჩვეულებრივი კრიმინალები. მათ სასჯელი მოიხადეს, მოხდა ისე, რომ მათ ვადაზე ადრე დატოვეს საპატიმრო. ბევრი ახლაც იხდის სასჯელს ძალიან მძიმე დანაშაულების გამო, მივუბრუნდები ჩემს უთანხმოებას, განსხვავებულ პოზიციას, რომელიც მაშინაც მქონდა და ახლაც მაქვს, შეუძლებელია, ამ ადამიანების სწორ გზაზე დაყენება. ივანიშვილს ჰქონდა სურვილი, ჰუმანური ყოფილიყო, რათა საზოგადოების კონსოლიდაცია მომხდარიყო, მაგრამ ეს აღმოჩნდა შეუძლებელი“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# კრიმინალები მარტის კატებივით კნაოდნენ...



ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება, ძალიან დიდი დარტყმაა იმ კრიმინალებისა და მათი იმ ლობისტებისთვის, ვინც „პატრიოტთა ალიანსის“ რეზოლუციაში მოიაზრებოდა და ვისაც მმართველ გუნდში მოკალათებულმა, მენტალობით ნაციონალმა დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს.

კრიმინალები ცხადია აფუთფუთდნენ და „რ2“-ის გადაცემა „არჩევანში“ მარტის კატებივით კნაოდნენ.

**ვუყურე ამ გადაცემას და ხუმრობით ვიტყვი: პირველად ვინანე მარიხუანა რომ არ „მევასება“. ნინო გოგუაძე ამბობდა, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ გულისთვის გააგდეს ღარიბაშვილიო.**

**სასაცილოა, და აი, იმ მელაკუდასაც ვერ „ქაჩავს“, გამონათქვამი „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“, რომ ათქმევინა რომელიღაც ჩვენს წინაპარს.**

**ღარიბაშვილია გაგდებული და თქვენ მაგარ „პონტში“ ხართ? — ნამდვილად სასაცილოა. დავით ზურაბიშვილის რიტორიკა, სრულიად ნათელია. რესპუბლიკელები, როგორც აგრესიული ლიბერალიზმის მთავარი მედროშეები, ცხადია, ვერ აიტანდნენ ღარიბაშვილის აშკარად უარყოფით დამოკიდებულებას მათი „მსოფლმხედველობისა“ და თუნდაც ერთნაირსქესიანთა ქორწინების მიმართ.**

**დამერწმუნეთ, არანაირი პოლიტიკური მოტივები, არანაირი რობერსპიერ-მარატის დაპირისპირება. აქ უმთავრესი იყო და არის ის, რომ „თავისუფლების ინსტიტუტის“ საშოში ჩასახული 0,5%-იანი რეიტინგის მქონე ორგანიზაცია, პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენის მოხდენას ცდილობს.**

**რეპუბლიკელების „კომენტარებს“ გამოეხმაურა პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი, რომელიც დღითი-დღე ადასტურებს იმას, რომ საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, დღეს ერთადერთი კონსტრუქციული ოპოზიციაა.**

**რამდენიმე კომენტარი წავიკითხე, პოლიტიკაში ღარიბაშვილის დაბრუნებასთან დაკავშირებით და უნდა გითხრათ, რომ ყველაზე „შთამბეჭდავი“ ჩემთვის დავით ბერძენიშვილ-სტუკაჩოვის „ანალიზი“ აღმოჩნდა. თურმე, რესპუბლიკელების ულტიმატუმი ყოფილა, რომ ივანიშვილს პოლიტიკური სცენიდან გაეყვანა ღარიბაშვილი.**

**გამოუსწორებელი შეცდომა იყო 2013-2015 წლებში რესპუბლიკელებისთვის ხელისუფლების გაყოფა-ჩაბარება. აქედან დაიწყო „ქართული ოცნების“ მორალური დაცემა. შეცდომა და დანაშაული იყო არჩევნების გამყალბებელ მინისტრებზე თვალის დახუჭვა! შეცდომა იყო, როცა თინა ხიდაშელ-გამყალბებლოვას ჩააბარეს და დაამცირებინეს ქართული ჯარი, რომელსაც ქალბატონმა მინისტრმა ყველას თვალწინ გააყალბებინა არჩევნები! შეცდომა და დანაშაული იყო არასწორ, არამართალ, არაეროვნულ, არაწესიერ აგულაშვილ-ხიდაშელ-ბერძენიშვილებზე (და სხვებზე) დაყრდნობა. ასეთ ხალხს ქვეყანა არ უნდა ანდო. რაც შეეხება დავით ბერძენიშვილ-სტუკაჩოვის აღიარებას, რომ მათი პარტია, თურმე, ღარიბაშვილის თაობაზე ულტიმატუმს უყენებდა ივანიშვილს, ესაა კიდევ ერთი მაგალითი, რას კადრულობდა ეს ხალხი, როცა ჰქონდა ძალაუფლება, როგორია მათი ცხოვრების და აზროვნების წესი. კიდევ ვიმეორებ: სწორედ ასეთ ხალხს ქვეყანა არ უნდა ანდო, არასდროს, არც ერთ ვითარებაში!!! მაგრამ მეფობენ დრონი. სტუკაჩოვების ხელსაქმე ახლა მხოლოდ ლაპარაკია, აღარც ძალაუფლება აქვთ, არც გავლენა საზოგადოებასა და პოლიტიკურ პროცესებზე. სიმბოლური იყო, რომ ქუთაისში, პარლამენტის შენობაში მაინცდამაინც დავით სტუკაჩოვის კაბინეტი მერგო. გასაღებს და რესპუბლიკური პარტიის ლოგოს რომ დავხედე, გამეცინა... გაქრნენ!!! სხვებსაც ასეთი პოლიტიკური „პერსპექტივა“ ეჯღანებათ, რომლებიც დღეს ძალიან ჰგვანან სტუკაჩოვებს.**

**ქვეყანას მართალი ხალხი უნდა მართავდეს, რომელსაც სუფთა გული აქვს. აზროვნებით ბორის ძნელაძეებს არ შეიძლება დაუთმო სახელმწიფოს მართვა. ექსპერიმენტების დრო აღარა აქვს არც ჩვენს ხალხს და არც ჩვენს ქვეყანას. ბეწვზე ვკიდივართ, ყველა მიმართულებით.**

„საუბრობდა“ არმაზ ახვლედიანი, რომელიც, როცა ვუყურებ, ჩემი უფროსი მეგობრების მიერ მოყოლილი ერთი ამბავი მახსენდება: დოდო აბაშიძის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის სუფრაზე, ერთ მართლაც კარგ ადამიანს, რომელიც დოდოს და ყველა იქ მსხდომის დიდი მეგობარი იყო, ზედმეტი მატრაკვეცობის შემდეგ უთხრეს — რა ზედმეტი ხარ თბილისში და როგორ აკლიხარ შენს მშობლიურ ქალაქსო.

ამ სუბიექტს რომ ვუყურებ, მუდამ ვფიქრობ — რა კარგი სახელი და გვარი აქვს და რა იდიოტია.

* * *

**ბევრი რომ არ გავაგრძელო, დღევანდელი ქართული პოლიტიკა ასე შეიძლება დავახასიათოთ:**

— მზად ვართ, დიალოგის რეჟიმში განვაგრძოთ სიტუაციიდან გამოსავლის ძიება.

— მზად ვართ ნებისმიერ საკითხზე სასაუბროდ.

— გზავნილი მიღებულია, ჩვენ მზად ვართ ამ გამოწვევისთვის.

მზად ვართ! მზად ვართ! მზად ვართ!

უკაცრავად, მაგრამ მმართველი გუნდი ხარ, თუ პავლიკ მოროზოვის სახელობის პიონერული რაზმი?



რატომლაც მგონია, რომ ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება „ქართული ოცნების“ ლიდერშიპის ერთ-ერთ ხელმძღვანელად, ამ პიონერულ-კომკავშირულ სიტუაციას შეცვლის.

დაველოდოთ!..

**გია გაბრიჭიძე**

# აქა ამბავი ღირსისა დაუნახავთა მისთა

**როგორც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს მოეხსენება, გასული წლის 25, 26 და 27 სექტემბრის ნომრებში დაიბეჭდა ვრცელი წერილი სათაურით „ხალხი სულ სხვა აზრისაა: ხალხმა იცის სიმართლე! ანუ კიდევ ერთხელ იმაზე, თუ ვინ რა იღვაწა და ვის რა ბრალი მიუძღვის აფხაზეთის ტრაგედიაში!“, რომელსაც ხელს აწერს აფხაზეთის სამედიცინო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა 26-კაციანი ჯგუფი?!**

ალნიშნულ პუბლიკაციაზე ჩვენი დაგვიანებული პასუხი იმ გარემოებამ განაპირობა, რომ თავდაპირველად მიზანშეწონილად არ ვცანით, კიდევ ერთხელ შეგვეწუხებინა საზოგადოება იმის მტკიცებით, რომ ნამდვილად არ გაგვიყვანია გვირაბი ლონდონიდან ბომბეიმდე და არ მოგვიწყვია ტერაქტები მითითებულ მარშრუტზე განთავსებულ სახელმწიფოთა დედაქალაქებში, მართლაც, არ გვსურდა ავყოლოდით პასკვილიანტებს მათ მიერ წამოწყებულ თამაშში და სრულად ჩავრთულიყავით ეპისტოლარულ ხანჯლაობაში, მაგრამ ღრმად ჩავიხედეთ რა ვითარებაში, შევცვალეთ პოზიცია და მივიღეთ გადაწყვეტილება, გვეპასუხა მათთვის, ვინაიდან ცილისმწამებლის უპასუხოდ დატოვება მისი მოკავშირეობის ტოლფასია, ყოველი შემთხვევისთვის ამგვარად სჯის საზოგადოება.

რაც შეეხება 26 ხელმომწერს, რომელთაგან დაახლოებით ნახევართან შევძელით დაკავშირება, გულწრფელად აღიარეს, რომ აღნიშნული პუბლიკაცია არ წაუკითხავთ გამოქვეყნებამდე და, შესაბამისად, არც ხელი მოუწერიათ მასზე. ესენი გახლავან: ქალბატონები ნონა სიჭინავა, კლარა აბლოთია, ნანა ლატარია; ბატონები – რაბო ლამანძია, რევაზ ხარჩილავა, არნოლდ კვარაცხელია, ნუგზარ გადელია. სხვა „ხელმომწერებთან“ დაკავშირებით გვინდა გაუწყოთ, რომ ნატო მამასახლისი ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ქ. ტყვარჩელშია გადასული და ბოლო ორი წლის მანძილზე არავის უნახავს არც ზუგდიდში და არც სხვაგან; პანაიოტის სტილიდისი დიდი ხანია საბერძნეთში, ქ. სალონიკში საქმიანობს, ხოლო ლენა შამიტოვა და ვიქტორია ტომაევა აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ საქართველოში არც ერთხელ არ ყოფილან. გამოდის, რომ 26 გვარ-სახელის მიწერა პუბლიკაციის ბოლოში ავტორის თუ ავტორთა ინიციატივას წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ. აქ ისიც უნდა ვიკითხოთ, თუ რატომ და რა მიზანდასახულობით ფიგურირებს რიცხვი 26 შესაბამისი საავტორო უფლებით, ხომ შეიძლებოდა ხელმომწერთა რაოდენობა ყოფილიყო ან უმნიშვნელოდ ნაკლები, ან ოდნავ მეტი. როგორც ჩანს, ამ რიცხვს საკრალურს თუ არა სხვა, თუნდაც იდეოლოგიურ დატვირთვას ანიჭებს ინკოგნიტო ავტორი. არ ვიცით, პატივცემულო მკითხველო, თქვენში როგორ, მაგრამ ჩვენში რიცხვი 26 ამავე რაოდენობის ბაქოელ კომისართან ასოცირდება, ეს ისე, სხვათა შორის, არსებითად კი მოვუწოდებთ ამ ე.წ. ხელმომწერთ იმავე გაზეთის მეშვეობით გაემიჯნონ ბანალური ცბიერებით შეფუთულ ფაბრიკაციას (ძალიან არ მოსწონთ ეს ტერმინი ჩვენს ოპონენტებს, მაგრამ რა ვქნათ, მხოლოდ იგი ასახავს მათი ნამოქმედარის შინაარსს).

**ალნიშნული** საგაზეთო პუბლიკაციის გამოქვეყნების ძირითადი მოტივის განსაზღვრა ჩვენთვის რთულ საქმეს ნამდვილად არ წარმოადგენს და მიზანშეწონილად ვთვლით, მკითხველიც გავარკვიოთ მასში. ყველაფერი კი დაიწყო ნ. მესხიას ავტორობით გამოცემული წიგნით, სადაც მიუთითებს, რომ აფხაზეთის ტრაგედიის შემოქმედნი მხოლოდ ქართული სახელმწიფო, ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები, ქართველი ეროვნების პიროვნებები და განსაკუთრებით აფხაზეთის ავტონომირი რესპუბლიკის ქართველი დეპუტატები არიან, რაზეც უმაღლესმა საბჭომ შესაბამისი რეაგირება მოახდინა, მისცა რა პრეზიდიუმის შესაბამის დადგენილებაში ნ. მესხიას ოპუსს მორალური და პოლიტიკური შეფასება, ხოლო პრეზიდიუმის დადგენილება დაეფუძნა სპეციალურად შექმნილი კომისიის (ჯ. გამახარიას, თ. მჟავიას და ნ. მგალობლიშვილის შემადგენლობით) მიერ წარმოდგენილ დასკვნას. გვინდა მკითხველს შევთავაზოთ ამონარიდი ზემოთ მითითებული დადგენილებიდან, რაც მას გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ამ დოკუმენტზე: „...**წიგნი „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ თუ მართლაც არის ლუსტრატორი, იგი, პირველ რიგში, ახდენს ავტორის, როგორც პოლიტიკისაგან ძალიან შორს მდგარი, საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული, ამავე დროს განაწყენებული და ჩასაფრებული ადამიანის ლუსტრირებას. ამდენად, უმაღლესი საბჭო ემიჯნება წიგნის სულისკვეთებას, ავტორისეულ დასკვნებს და შეფასებებს. ნ. მესხია აშკარად განიცდის რა სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტს, დაკავებულია საკუთარი პერსონის განდიდებით – თითქოს ის იყო უმაღლესი საბჭოს ყველა წამოწყების ინიციატორი და წარმმართველი, რაც ძალიან, ძალიან შორსაა სიმართლისაგან...“** აქ მეტად საინტერესო „დეტალს“ უნდა გაესვას ხაზი. აღნიშნულ დადგენილებას სრულიად დეპუტატთა კორპუსმა დაუჭირა მხარი და მათ შორის იმ რვა დეპუტატმაც, რომლებიც გმობენ და ემიჯნებიან ჩვენს პუბლიკაციებს და მხარს უჭერენ საგაზეთო პუბლიკაციაში მითითებულ შეფასებებს.

აი, რამ გაანაწყენა ჩვენზე ბატონი ნაპოლეონი და უკვე მომდევნო ოპუსში „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“ ცილისწამებათა ისეთი ნიაღვარი გადმოუშვა, რომლის სადარს ნაკლებად მიაგნებს მკითხველი, გამორჩეულად კი ქალბატონი რაისა ქარაია გაიმეტა, რომელსაც ქარაგმულად მიმართავს შექსპირის სიტყვებით: „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!“, ხოლო ამგვარად „შემკობილმა“ ადრესატმა საკუთარი თავისა და კოლეგების დაცვა ცივილიზებული, საყოველთაოდ მიღებული გზით გადაწყვიტა და შეიძლება ამაში რაიმე საძრახისი დაინახო ადამიანმა?! – სასამართლომაც ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო და არა ისეთი, რაც ნ. მესხიას აძლევდა ხელს, არამედ იმ შინაარსისა, რამაც კიდევ უფრო მეტად გაალიზიანა და აანთო იგი.

სასამართლოსთან დაკავშირებით ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა გაესვას ხაზი იმდენად, რამდენადაც ერთმნიშვნელოვნად ამხელს ბატონ ნაპო მესხიას სიცრუეში და რაც მარტივად ექვემდებარება გადამოწმებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გზავნილით, ნ. მესხიას მიეწოდა უწყება და მასზე თანდართული სარჩელი, სადაც გაფრთხილებული იყო იმის თაობაზე, რომ მითითებულ ვადაში სასამართლოსთვის მიეწოდებინა შესაგებელი რ.ქარაიას სარჩელზე და თუკი იგი ამას არ განახორციელებდა, სასამართლოს მიერ მიღებული იქნებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ბატონი ნაპო მიუთითებს, რომ მას არანაირი გზავნილი არ მიუღია, უფრო მეტიც, ბრალს სდებს ქალბატონ რაისა ქარაიას, მის ადვოკატსა და უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელს აღნიშნული დოკუმენტების გადამალვაში. მან რომ ნამდვილად მიიღო შეტყობინება სარჩელთან ერთად, ამაზე აშკარად მოწმობს რ.ქარაიასთვის მის მიერ გამოგზავნილი სასამართლოს გადაწყვეტილება მისივე კომენტარებით და რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, სარჩელიც, სადაც დაშტრიხულია მასში მითითებული ბრალდებები.

კიდევ ერთი, რაზეც მკითხველის ყურადღება უნდა გავამახვილოთ: – თუკი ნაპო მესხია სასამართლოს გადაწყვეტილებას არ იზიარებდა, რატომ არ გაასაჩივრა სააპელაციოში, სადაც შეძლებდა საკუთარი „სიმართლის“ დამტკიცებას, ხოლო არსებითი განხილვის დაწყებამდე რატომ არ მიაწოდა შესაგებელი სასამართლოს? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ისევ ჩვენ მოგვიწევს, პატივცემულო მკითხველო: იმიტომაც არ მიაწოდა, რომ დარწმუნებული იყო თავისას ვერ გაიტანდა. და ბოლოს, 2017 წლის 5 მაისს მიღებული სასამართლოს განჩინება ნაპო მესხიას რაისა ქარაიაზე ბევრად ადრე, აგვისტოში, მიეწოდა, ხოლო მოსარჩელემ იგი ოქტომბერში მიიღო.

სავარაუდოდ, მკითხველი მიხვდება, თუ რატომ ამოეფარა ე.წ. ხელმომწერთა გვარ-სახელებს საგაზეთო პუბლიკაციის რეალური ავტორი თუ მისი შემკვეთი. სწორედ იმიტომ, რომ გაეგრძელებინა შეურაცხმყოფელი ცილისწამებების გავრცელება მის მიერ ამოჩემებულ პიროვნებებზე და სისხლის სამართლებრივ პასუხიმგებლობას გარიდებოდა. სხვა შემთხვევაში კი სასამართლოსგან გაფრთხილებული ნ. მესხია ამჯერად უკვე ვერ ასცდებოდა აღნიშნულ პასუხისმგებლობას. სწორედ აქ იმალება ჭეშმარიტი მიზეზი ნ. მესხიას გაბრაზებისა ქართულ სასამართლოზე, რომლის საქმიანობის მისმიერი (სხვათა გახმოვანებით) შეფასება სავსეა ირონიული მინიშნებებით და აბსურდული დასკვნებით. იგი ვერანაირად ვერ პატიობს სასამართლოს იმ განჩინების გამოტანას (და მას ეგრეთ წოდებულად მოიხსენიებს), **რომლის თანახმად დაკმაყოფილდა ქალბატონ რაისა ქარაიას სარჩელი და ნ. მესხიას დაავალა მის წიგნში „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“ გამოქვეყნებული რაისა ქარაიას და სხვათა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა**. სასამართლოს საქმიანობის შეფასებას კი ამგვარი რეზიუმეთი ასრულებს: „... აი, ასე ახერხებს ქ-ნი რაისა ქარაია თავისი წამქეზებლების (გია გვაზავას, გივი ლომინაძის, თემურ მჟავიას და სხვა) დახმარებით ამ ბინძური საქმის მოგვარებას...“ აქ საკითხავია, თუ ვინ ეწევა ბინძურ საქმიანობას, ჩვენ და ქართული სასამართლო, თუ წარმოდგენილი ციტატის ავტორი თუ ავტორები.

**რაც** შეეხება ჩვენს მსჯელობას დაქვემდებარებულ საგაზეთო პუბლიკაციას, იგი რეალურად ძველის გადამღერება-გამეორებაა, რის მიმართ არაერთხელ გამოგვითქვამს კრიტიკული მოსაზრებები, არც მწვავე შეფასებებს მოვრიდებივართ, მაგრამ ამას ვაკეთებდით არა იმიტომ, რომ ჩვენს კოლეგას დავპირისპირებოდით პიროვნულად, არამედ რეაგირება მოგვეხდინა მის მცდარ და არაიშვიათად საშიშროების შემცველ მოსაზრებებზე. წარმოდგენილ პუბლიკაციაში აპელირება ხდება იმავე „ფაქტებსა“ და „მოვლენებზე“, იმავე განწყობითა და სულისკვეთებით, რომლებიც ასახულია ნაპოლეონ მესხიას წიგნში „Как отторгалась Абхазия“ („როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“), ამასთან, ავტორი, ავტორები თუ ავტორთა კოლექტივი არ ღალატობენ პანეგირიკისთვის დამახასიათებელ სქემას, რაც შემდეგში მდგომარეობს: იმისთვის, რომ საზოგადოებას წარუდგინო გმირი, მას შესაბამისი ფონიც უნდა შეუქმნა და დაუხატო ანტიგმირიც. სხვაგვარად რომ მოგახსენოთ – იმისთვის, რომ შეაქო, აამაღლო, განადიდო, მრავალმხრივი ნიჭითა და შესაძლებლობებით გამორჩეულ ერისკაცად დაუხასიათო, არ უნდა დაიზარო და საპირწონედ უნდა შესთავაზო მისი სრული ანტიპოდები – მდაბალნი, უბირნი, უნიჭონი, გაუნათლებელნი, ქვენა გრძნობებში ჩაფლულნი, ხალხის მოღალატეები, სამშობლოს გამყიდველები, მილიტარისტები, ეროვნულ ლოზუნგებს ამოფარებული მედროვენი, სამარცხვინოები, ავის მთქმელნი და მქმნელნი, ხოლო მათ მოძიებას ნამდვილად არ სჭირდება დიონისეს ფარანი, აქვე არიან, როგორც იტყვიან, ხელის ერთ გაწვდენაზე. აი, ისინიც: ცოცხალთაგან – რაისა ქარაია, თემურ მჟავია, ე. ასტემიროვა, გია გვაზავა, ნუგზარ მგალობლიშვილი, ზურაბ პაპასკირი, შალვა წულეისკირი, ჯუმბერ ხუბუტია... გარდაცვლილთაგან – თამაზ ნადარეიშვილი, მურმან ბერია, სოსო ადამია, ალექსანდრე მიქაძე, გივი ლომინაძე... და თუ რომელიმე ანტიგმირი გაბედავს და შეეცდება, საკუთარი ღირსება დაიცვას სასამართლოში ცილისწამების გამო, იგი ხელახალი თავდასხმის ობიექტად გადაიქცევა მყისიერად.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება, შევახსენოთ მათ ზოგიერთი პიროვნება და მათთან დაკავშირებული დანაშაულები, რომელთა ჩამოთვლას წინასწარი დათქმით გვთავაზობს ეს კოლექტიური ავტორი, აქაოდა ბევრი რამ ვიცით მათ სიგლახეთა შესახებ, მაგრამ ვერ ვიკადრებთ ყველა მათგანის საზოგადოებისთვის გამოტანასო, არ ეგებისო, „ვაშინერსო“, ამიტომ მათი ნაწილის გამომზეურებით დავკმაყოფილდებითო, სამაგიეროდ, არ ერიდებიან ისეთი „ეპითეტების“ გამოყენება-მოხმარებას, როგორიცაა „სამარცხვინო“, „ზნედაცემული“, „ამაზრზენი“, „ბინძური“, „სინდისნამუსისგან, ზნეობისგან დაცლილი“ და მრავალ სხვას და ამას იმით ამართლებენ, რომ ხალხმა სიმართლე უნდა იცოდეს აფხაზეთზე და ვის როგორი წვლილი მიუძღვის მის დაკარგვაშიო. სიმართლით უნდა ამხილოო, გვმოძღვრავს ინკოგნიტო ავტორი, უფრო ზუსტად, „ნაპოლეონი და კომპანია“ (შემოკლებით „ნ და კ“) და ტყუილ-მართლის ისეთ აჯაფსანდალს ამზადებს ცილისწამებებით აგუზგუზებულ ცეცხლზე, რომ ერთი წამითაც არ გაფიქრებინებს, მას რაღაც სანელებელი აკლიაო. თუმცა მოაქვს კი რამე შედეგი ამ კერძით საზოგადოების გამასპინძლებას? ვფიქრობთ, არა. სხვა რა მოგახსენოთ და ქართულ სასამართლოზეც ვერ ზემოქმედებს. სიტყვამ მოიტანა და ერთ მნიშვნელოვან რჩევას მივცემდით „ნ და კ“-ს: მოიხმეთ წარსული გამოცდილება, შექმენით Совет трудовых коллективов“ ან სხვა მისი მაგვარი თქვენეული სიმართლის მოყვარულთა და მაძიებელთა ბაზაზე და კონსოლიდირებულად შეუტიეთ ამ ანტიგმირებს სოციალისტური რეალიზმის ნაცადი და ეფექტური იარაღით და დაამარცხებთ, აბა რა იქნება, არსენ თარბა დამარცხდა, ბოლოს და ბოლოს, ამათ რაღა გადაარჩენს, ვითომ რა მაცოცხლებელი ელექსირით უნდა იყვნენ ნაკვებნი?!



**ზემოთ** ანტიგმირების მიერ ჩადენილი დანაშაულები დავაანონსეთ. ვნახოთ, რას წარმოადგენს ზოგიერთი უკეთური საქმიანობა, რასაც სხვებთან ერთად რაისა ქარაიას, თემურ მჟავიას და გია გვაზავას მიაწერს, არსებითად კი ცილს სწამებს „ნაპოლეონი და კომპანია“. იგი ამბობს, რომ ქართველ-აფხაზთა პირველ დაპირისპირებაში (მხედველობაში აქვს 1989 წლის ივლისის მოვლენები) დიდი წვლილი მიუძღვის სწორედ თემურ მჟავიას, როგორც „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ აფხაზეთის ფილიალის ერთ-ერთ ლიდერს, იმ ორგანიზაციისა, რომელიც იდეოლოგიურად უზრუნველყოფდა და ზურგს უმაგრებდა სოხუმის უნივერსიტეტის ეთნიკური ნიშნით გაყოფის მსურველი საზოგადოების ექსტრემისტულ ნაწილს. სანამ ცილისწამებას გავცემთ პასუხს, გვინდა, მსგავსი აზრებით დამძიმებულ კოლექტიურ ავტორს და საზოგადოებას შევახსენოთ, რომ უნივერსიტეტის ორად გაყოფა, ისევე, როგორც შემოქმედებითი კავშირების, თეატრის და სხვათა ეთნიკური ნიშნით გაყოფა იყო არა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“, თუ ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის მიზანი, არამედ იმ პოლიტიკის რეალური შედეგი, რასაც ათწლეულების მანძილზე რუსეთი, კერძოდ მოსკოვი, უფრო კონკრეტულად კი კრემლი ეწეოდა აფხაზეთში და რასაც ასე საგანგებოდ მალავს „ნ და კ“, ხოლო რაც შეეხება „მრგვალი მაგიდა“ – თა-



# დასტაქარისა და საქმეთა საშურთა...

ვისუფალი საქართველოს“ აფხაზეთის ფილიალისა და განსაკუთრებით მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის თემურ მჟავიას სოხუმის უნივერსიტეტის გაყოფასთან დაკავშირებულ პოზიციას, ის იყო ასეთი — **არავითარი გაყოფა, არავითარი მასზე საუბარიც კი!** ეს დოკუმენტურადაცაა დაფიქსირებული და რაც კარგად მოეხსენება აფხაზეთის საზოგადოებრიობას, რომლით მანიპულირებასაც აგრერიგად ცდილობს კოლექტიური ავტორი! მაშ, რას წარმოადგენს მათი მოსაზრება? — გამოკვეთილად ცილისწამებას, ისევე, როგორც მტკიცება „აიდგილარასა“ და „მრგვალი მაგიდის“ კულუარულ, მაგრამ შეხმატკბილებულ თანამშრომლობაზე. აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას გვინდა მკითხველმა მიაპყროს ყურადღება, ყველა ეპიზოდში და ძირითად კონტექსტებში „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ წარმოდგენილია, რბილად რომ ვთქვათ, არაპოზიტიური სახით, რაც სულ ცოტა გაკვირვებას უნდა იწვევდეს მაშინ, როდესაც თავად ბატონი ნაპოლეონ მესხია ერთ-ერთი დამფუძნებელია ამჟამად მოქმედი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქციისა „მრგვალი მაგიდა — დიალოგი ერთიანი საქართველოსთვის“. არა და ეს ხომ ის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ აფხაზეთის ფილიალია, რომელსაც სათავეში სწორედ თემურ მჟავია ედგა და რომელმა ორგანიზაციამაც გარედან არსებითი დახმარების გარეშე, მის მიმართ მტრულად განწყობილი პოლიტიკური სპექტრის (მათ შორის, ქართულის) გარემოცვაში ჩაატარა ყველა ომამდელი არჩევნები, სადაც საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შედეგები ალინუსხა. **ყველაფერი რომ გვერდზე გადავდოთ, რად ღირს თუნდაც 1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმზე მიღწეული გამარჯვება, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი წინაპირობა გახდა და ეს გამარჯვება მოპოვებული იქნა კრემლის მიერ კონტროლირებად აფხაზეთში.**

საგანგებოდ გვინდა, გამოვყოთ ნ. მესხიას წიგნში „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ წარმოდგენილი ბრალდება (არსებითად კი უპრეცედენტო ცილისწამება) ქალბატონების რაისა ქარაიას, ეთერ ასტემიროვას და მათი კოლეგების, გია გვაზავას და თამაზ ნადარეიშვილის მიმართ, სადაც მიუთითებს და ამისათვის იმოწმებს ბატონ თენგიზ სიგუას, რომ დეპუტატთა ამ ჯგუფმა წააქეზა სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელობა, სეპარატისტთა დაშოშმინების მიზნით შემოყვანილიყო აფხაზეთში სამხედრო ძალები. აი, როგორ უპასუხებს ამ ცილისწამებას ბატონი თენგიზ სიგუა: **„... როგორც საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აფხაზეთში ჯარის შემოყვანის მოთხოვნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არც ერთი დეპუტატი სამხედრო საბჭოში არ ყოფილა, როგორც ამას ბ-ნი ნ. მესხია წერს წიგნის 68-ე გვერდზე, ამდენად, ის, რომ დეპუტატების ვიზიტმა სამხედრო საბჭოში გადაწყვიტა ომისა და მშვიდობის ბედი, რომ მათ შეიყვანეს ტანკები აფხაზეთში, საფუძველს მოკლებული და ცილისწამებაა... ჩემი დამოწმება ამ საკითხში მტკნარი სიცრუეა... მე არ ვიცი, რამ გამოიწვია ბატონ ნ. მესხიაში კოლეგებისადმი, მით უმეტეს, ქალბატონებისადმი ასეთი სიძულვილი, რამ უბიძგა მას ასეთი უზნეო ცილისწამებისაკენ, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული — ეს წიგნი აბსოლუტურად არ ემსახურება არც სიმართლეს, რისი პრეტენზიაც ავტორს აქვს და არც კონფლიქტის მოწესრიგებას, ეს არის ანტისახელმწიფოებრივი, სეპარატისტული იდეოლოგიით გაჟღენთილი ბოღმით სავსე კაცის ნაწერი...“**

უმძიმეს ბრალდებად სურს „ნ და კ“-ს, წარმოადგინოს ის საარჩევნო კანონი, რომლითაც სხვებთან ერთად თავად ნ. მესხია იქნა არჩეული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მათ მიერ (და არა მხოლოდ მათ მიერ) დაწუნებული და მოღალატურად შერაცხილი დისკრიმინაციული და აპარტეიდული საარჩევნო კანონი, რომლის მიღება ქვეყნის პრეზიდენტს თურმე გივი ლომინაძის, მურმან ომანიძისა და თემურ მჟავიას პოლიტიკურმა დაჯგუფებამ აიძულა, ყოფილა ქართულ-აფხაზური საომარი დაპირისპირების უმთავრესი სტიმულატორი. **ამასთან დაკავშირებით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არსებული სახით მიღებული საარჩევნო კანონი იყო აბსოლუტურად გააზრებული, რეალური პოლიტიკური მოცემულობის მაქსიმალურად გათვალისწინების, მიმდინარე ვითარების გონივრული შეფასების საფუძველზე მიღებული ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება (სწორედ ამგვარად აფასებდა ბატონი ზვიად გამსახურდია აღნიშნულ არჩევანს), რამაც არათუ დააჩქარა და უშუალოდ შეუწყო ხელი აფხაზეთში საომარი კონფლიქტის დაწყებას, როგორც ამას „ნაპოლეონი და კომპანია“ წარმოგვიდგენს, არამედ ერთი წლით გადადო მოსკოვის მიერ საგანგებოდ დამუშავებული და წინაპირობაშექმნილი ეს საომარი ავანტიურა, რაზე საუბარსაც მაძებრისაგან დაშინებული მწყერივით გაურბის კოლექტიური ავტორი და ამას იცით, რატომ აკეთებს? — იმიტომ, რომ მჟავიას, ქარაიას, გვაზავას, ლომინაძეს, ასტემიროვას და მოღალატური ჯაჭვით შეკრულ მათ დებსა და ძმებს არ დაუკარგოს ისტორიული „დამსახურება“.** აბა ვინ, თუ არა მათ დააშვებინეს საბედისწერო შეცდომა საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და განა მარტო მას, საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და კეთილდღეობისთვის დამაშვრალ ვლადისლავ არძინბას, კონსტანტინე ოზგანს, სერგეი შამბას, ანრი ჯერგენიას... აფხაზთა უხუცესთა საბჭოს, აფხაზურ სახალხო ფრონტ „აიდგილარას,“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს — „კრუნკი“, „სოიუზი“, „რუს თანამემამულეთა კავშირი “, „სლავიანსკი დომ“, „აფხაზეთის კაზაკთა კავშირი“ და ვინ მოთვლის კიდევ ვის, მაგრამ უპატიებელ ცოდვად უნდა იქნას აღიარებული მათ მიერ მზაკვრულად განხორციელებული ქმედება, რომლითაც სრული გაუგებრობის ლაბირინთში მოაქციეს ერთმორწმუნე რუსეთის ხელისუფლება და არაადამიანური ზეწოლის პირობებში დააწყებინეს საომარი მოქმედებები დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ — ამგვარად ჟღერს „ნაპოლეონისა და კომპანიის“ სიმართლე, რაც აუცილებლად უნდა იცოდეს თურმე მოღალატეებისა და დამნაშავეებისგან გაწბილებულმა ხალხმა და რომელიც მკურნალობის მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა.

**საარჩევნო** კანონს მივუბრუნდებით და ერთი შეკითხვით შევაწუხებთ ჩვენგან განდგომილ კოლეგას. თუ კი ასეთი უგვანი და მიუღებელი იყო თქვენთვის საარჩევნო კანონი, რატომ მიიღეთ არჩევნებში მონაწილეობა? შეერთებოდით ე.წ. ბოიკოტისტებს ბორის კაკუბავას „თამადობით“ და გეზრუნათ ქართველი ამომრჩევლის „ღირსების“ შენარჩუნებისთვის. კი ბატონო, მჟავე იყო ის ყურძენი ბოიკოტისტებისთვის, მაგრამ თქვენ ხომ უპრობლემოდ მიირთვით და დღესაც გემრიელად ეახლებით მას, რაც, ჩვენში დარჩეს და, ამჟამინდელობაში არ გეკუთვნით. აბა, გაიხსენეთ ამ ბოლო ათი წლის მანძილზე რამდენჯერ გამოცხადდით უმაღლეს საბჭოში, გიჭირთ გახსენება? გიჭირთ და სწორადაც გიჭირთ, ვინაიდან ასეთი რამ მხოლოდ ერთადერთხელ მოხდა და ისიც თავმჯდომარის გადაყენების მიზნით მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის, როდესაც დევნილი მოსახლეობის მიერ მოწყობილი ღირსების კორიდორი თავაწეულმა გაიარეთ. თუმცა ღირს კი თქვენთან ამაზე საუბარი, პიროვნებასთან, რომელმაც დაივიწყეთ ან ყურად არ იღებთ წინაპრების მიერ ცხოვრების წესად ქცეულ შეგონებას, რომ ოჯახში არსებული არასასურველი და ნეგატიური მის ფარგლებს გარეთ შენ, ამ ოჯახის წევრმა არ უნდა გაიტანო და არა მხოლოდ იმიტომ, რომ შენს ღვთივკურთხეულ სამყოფელს ღირსება შეუნარჩუნო, არამედ იმისთვისაც, რომ საზოგადოება, ქვეყანა არ შეაწუხო. თქვენს შემთხვევაში ვერაფერს ამგვარს ვერ ვხედავთ, თუნდაც მისხალს ზემოთ მითითებული შეგონებისა. უფრო მეტიც, თქვენ, თქვენი კარის მწერალი თუ გარკვეულ გვარ-სახელებს ამოფარებული სუბიექტები, ან ყველანი ერთად განსაკუთრებული აღტყინებით ეძებთ და პოულობთ კიდეც (რა თქმა უნდა, თქვენი გადასახედიდან) სამშობლოს გამყიდველებს, ომის გამჩაღებლებს, პატარა თუ დიდი ერების შეურაცხმყოფელებს და დამჩაგვრელებს და ვინ იცის, კიდევ რომელ წრეგადასულსა და მუდრეგს, რომელთაც ანტიგმირებად მოიხსენიებთ იმისთვის, რომ ჭეშმარიტი გმირი გამოაჩინოთ მთელი სიგრძე-სიგანით, მაღალი ღირსებით, მორალურ-ზნეობრივი მდგრადობით, სიქველით, ვაჟკაცობით და ვინ მოთვლის, კიდევ რომელი მაღალი ნიშნით და ფრიადოსნის გულმოდგინებით თხზავთ არაკებს, სადაც თქვენ მიერ რუდუნებით შექმნილი გმირი ჭეშმარიტ საოცრებებს ახდენს, ანტიგმირი კი ენით აუწერელ სიგლახეებს სჩადის. **შეგახსენებთ ზოგიერთ მათგანს: ამბავი იმისა, თუ როგორ ჩაშალა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულმა დეპუტაციამ სოჭის ხელშეკრულება, როგორ ჩააგდო გივი ლომინაძემ ბაგრატ შინქუბას ოჩამჩირიდან გამოყვანის ოპერაცია; (ეს არაკი იმით იმსახურებს ყურადღებას, რომ საზოგადოებას უმხელს საგანგებოდ შეფუთულ „საიდუმლოს“ იმის შესახებ, რომ სინამდვილეში ქ. ტყვარჩელს არა აფხაზები, არამედ ქართველები აკონტროლებდნენ თურმე, აბა სხვაგვარად როგორ ჩაიყვანდა გივი ლომინაძე მის მიერ შეპყრობილ ბატონ შინქუბას და ქალბატონ ვიოლეტა აგირბას ტყვარჩელში?!). როგორ შთააგონა ბატონმა ნაპო მესხიამ საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, უარი ეთქვა აფხაზეთის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციაზე და სხვა, მაგრამ მათ შორის უპირობოდ უნდა გამოიყოს მის მიერ შექმნილი და აფხაზების მიერ სრულად გაზიარებული დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა დევნილი მოსახლეობის მასობრივ და უსაფრთხო დაბრუნებას აფხაზეთში?! თვით ეზოპესაც კი შეშურდებოდა წარმოდგენილი არაკების ფაბულა, მოქმედ პირთა გალერეა და მორალისტური დასკვნების სიღრმე.**

მსჯელობას დაქვემდებარებული საგაზეთო სტატია გაჯერებულია ნ. მესხიას ბიოგრაფიის იმ შემადგენლით, რომელიც მის პროფესიულ საქმიანობას ეხება და რაც ნათელი ფერებითაა გადმოცემული. **ამ შეფასებებს ძირითადში ჩვენც ვიზიარებთ, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ავტორს, რომელსაც სურს, დაარწმუნოს მკითხველი იმაში, რომ ნაპოლეონ მესხიას დამსახურებები მის პროფესიულ საქმიანობაში საკმარისი წინაპირობაა იმისთვის, რომ წარმატებით შეეჭიდოს საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა, ან თითქმის ყველა სფეროს, მათ შორის ისეთს, რომელიც აშკარად განიცდის კვალიფიციური კადრების დეფიციტს და აქ ძალაუნებურად გახსენდება ი. ბ. სტალინის ცნობილი გამონათქვამი — კადრები წყვეტენ ყველაფერს, მაგრამ მათ ხომ დანახვა და შესაბამის ადგილზე გამწესება სჭირდებათ, ხოლო როდესაც ვერ თუ არ დაინახავ, გექნება შე ოჯახაშენებულო, სახელისუფლებო და მმართველობის კრიზისი სახელმწიფოში, აბა რა!**

თუ კი თქვენ, ბატონებო, ფიქრობთ, რომ ნაპოლეონ მესხია ჩვენი დროის უალტერნატივო პოლიტიკოსია, აძლევთ მის მოღვაწეობას ომების თავიდან აცილების საქმეში მაღალ შეფასებას, უფალმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ ჩვენ, რომელთაც განსხვავებული აზრი გვაქვს, თავი დაგვანებეთ, ნუ გვაყენებთ შეურაცხყოფას, ნუ თითხნით ბინძურ ამბებს ჩვენს გარშემო და თუ კი ფიქრობთ, რომ თქვენს ზღაპრებს მართლაც მკურნალის თვისება აქვს, იმკურნალეთ გამოჯანსაღებამდე. ისე, ჩვენში დარჩეს და, უბრალოდ, „ამხანაგურად“, „კომისრულად“ გირჩევთ, თავი დაანებეთ ამ იგავ-არაკობანას და თქვენი დაუოკებელი აქტივობებისათვის უფრო საქმიანი და გამორჩეული პერსონები შეარჩიეთ, თუნდაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, ბატონი ანტონიო გუტიერეში და შესთავაზეთ ბატონ ნაპოლეონ მესხიას კანდიდატურა ერთა შორის დაპირისპირებებისა და კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში მთავარი კომისრის პოსტზე. აქ თუ ხელს ვუშლით მუდრეგები, იქ ხომ ვერ მივწვდებით და შეუდგება ბატონი ნაპოლეონი მხედართმთავრული შემართებით საშურ მოღვაწეობას, არადა, კონფლიქტებს რაღა გამოლევს მსოფლიოში, ერთი-ორი წარმატებით მოწესრიგებული კონფლიქტი სადღაც აფრიკაში დავიჯეროთ, ყურადღების მიღმა დარჩებათ მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის მინიჭების კომიტეტში? ჩვენსავით დაუნახავები ხომ არ იქნებიან, დაინახავენ კიდეც და ღირსეულადაც შეაფასებენ ნაღვაწს.

ახლა კი სერიოზულად გვინდა ვიკითხოთ — ნუთუ სჯერა ამ ქვეყანაში ვინმეს იმისა, რომ სისტემური საერთაშორისო პოლიტიკური კონფლიქტის განმუხტვის გასაღები თუნდაც ერთი საათით ჩაბარებოდა ნაპოლეონ მესხიას? არ ვიცით, ვის როგორ და რისთვის სჯერა ამგვარი არაკები, მაგრამ ჩვენ ვერ დავიჯერებთ და არა იმიტომ, რომ ბატონი ნაპოლეონი არ გვესიმპათიურება, არამედ იმ მიზეზის გამო, რომ აფხაზეთის კონფლიქტი არის და ამაზე მიუთითებს მასში მეტ-ნაკლებად ჩახედული ექსპერტი თუ ანალიტიკოსი, მრავალშემადგენლობითი, ყოვლისმომცველი და ურთულესი სისტემური პოლიტიკური კონფლიქტი, რომლის დაძლევა საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევითაც ვერ ხერხდება, მისი ავტორიტეტული სტრუქტურების სრულყოფილად ჩართვის გზითაც კი, და ჩვენი ღრმა რწმენით ჯერჯერობით, ვინაიდან გვწამს, რომ შორს არ არის დღე, როდესაც ეს ურთულესი პრობლემა მოგვარდება, ჩვენი ქვეყანა გამთლიანდება, ქართველი, ოსი და აფხაზი ისტორიული პასუხისმგებლობის მოხმობით ჩადგებიან დედასამშობლოს — საქართველოს სამსახურში და, ბუნებრივია, ჩვენც, აფხაზეთის მკვიდრთ, მოგვეცემა შესაძლებლობა, დავუბრუნდეთ მამაპაპისეულ სამყოფელს. სიტყვამ მოიტანა და გვსურს ვკითხოთ ჩვენს განდგომილ კოლეგას — ხომ არაფერი შეგიშლით ხელს თქვენს მშობლიურ სოფელ ოტობაიაში დაბრუნებაში? თუმცა ფართო საზოგადოებრიობისგან ამ მოცულობით მხარდაჭერილ მოღვაწეს რა უნდა გაგიჭირდეთ?! მართლაც რომ უსაფუძვლოა ჩვენი მღელვარება.

ბოლოს, ერთ ამოსაცნობად არც თუ ისე რთულ გამოცანას შევთავაზებთ „ნაპოლეონს და კომპანიას“: თუ მიხვდებით, ვისი დაწერილია ეს თქვენი შეფასებით პასკვილი? დაძაბეთ გონება თუნდაც მცირედით და გამოიცნობთ... სწორია, ჩვენ თქვენს წარმატებულობაში ეჭვი არასოდეს შეგვპარვია.



**თეიმურაზ მჟავია**



**რაისა ქარაია**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები**

## „სჯობს სახელისა მოხვეჭა“...



მისი ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელია ასპინძისგან. მშობლიური მხარის სიყვარული ბავშვობიდან გულში ამოეტვიფრა.

მე-10 კლასის მოსწავლე აქტიურად მონაწილეობდა შოთა რუსთაველის 800 წლის საიუბილეო ღონისძიებაში. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, სცენაზე ერეკლე მეფის როლიც შეასრულა, მხატვრულ კითხვაში საუკეთესო მოსწავლე ვარძიაში პირველ „შოთაობაზეც“ გამოვიდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. მესხეთში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. 2008 წლიდან, მისი ინიციატივით, აღდგა „პოეზიის სახალხო დღესასასწაული „შოთაობა“, რომელიც 12 წელია, იმართება სოფელ რუსთავსა და ვარძიაში. „შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების ფონდის“ გამგეობის თავმჯდომარე და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია. „შოთაობის“ ჯილდო პოეზიაში ერთ-ერთი გამორჩეული და საპატიოა.

ასპინძაში რუსთაველის სახლის (მუზეუმის) მშენებლობის დაწყების თაობაზე რამდენჯერმე დააყენა საკითხი, მაგრამ უშედეგოდ...

მისი უშუალო ინიციატივით გამოიცა ლექსების კრებული „მესხეთი ქართულ პოეზიაში“, რომელიც ყველა იმ პოეტის შემოქმედებას აერთიანებს, ვისაც მესხეთზე ლექსი დაუწერია. გამოსაცემად მზად აქვს „მესხური ფოლკლორის“ II- III ტომები, ხოლო წლის ბოლომდე გამოვა თავად მისი ლექსების კრებული.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ 20 წლის იუბილე მისთვის ძვირფასი და საამაყოა. პოეტისა და ისტორიკოსის, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მთავარი რედაქტორის ავთანდილ ბერიძის პერსონას დღეს „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს წარვუდგენთ.

სი სახალხო დღესასწაულია საქართველოში და მისი დაწესება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის იუბილეს უკავშირდება. როგორც ერთმა უცხოელმა ბრძანა – „საქართველოში ყველა პოეტია და ქართველი პოეტი ორგზის პოეტიო“, – შემთხვევით არ უთქვამს. იყო დრო, როდესაც ქართული პოეზიით ცხოვრობდა ქვეყანა, მწერლები და პოეტები ყველაზე საყვარელ და გამორჩეულ ადამიანებად ითვლებოდნენ.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სახალხო დღესასწაულებმა თითქოს მეორე პლანზე გადაიწიეს. „შოთაობაც“ მხოლოდ რამდენჯერმე გაიმართა და, ბოლოს, სრულიად დაივიწყეს... კეთილი შურითაც მშურდა მაშინ, რომ ჩვენს სამეზობლოში, ტრადიციული ღონისძიებები, უპრობლემოდ ტარდებოდა. ამის თაობაზე ცენტრალურ პრესაშიც და ჩვენი გაზეთის მეშვეობითაც, არაერთხელ გავახმოვანე. ბოლოს, ჩვენდა საბედნიეროდ, ამ საქმეში გვერდში დაგვიდგა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მთავარია, ნება იყოს და ყველაფერს ეშველება. გაზეთის ინიციატივით აღდგენილი ეს დღესასწაული იმითაც არის გამორჩეული, რომ ყოველწლიურად, ქართული ლიტერატურის განვითარების მიზნით, ვატარებთ ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში და გვეამაყება, რომ ამ კონკურსებში ჩვენი სახელოვანი პოეტები აქტიურად მონაწილეობენ.

„შოთაობის პრემიის“ 80-მდე ლაურეატი არცთუ ისე ცოტაა ჩვენი სინამდვილისათვის. ვფიქრობთ, მომავალში მისი მასშტაბები უფრო გაიზრდება.

# რუსთაველისა და სარგის თმოგველის, ოპიზრების სამშობლო მოსახლეობის დაცლისგან უნდა გადავარჩინოთ!

– დავიბადე 1950 წელს ასპინძაში. მამაჩემი ასპინძის ძირძველი მკვიდრი გახლდათ, ეს მაშინ, როდესაც აქ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ეთნიკური თათრები და აზერბაიჯანელები წარმოადგენდნენ. მთელ რაიონში რამდენიმე ქართველს თუ ჰქონდა უმაღლესი განათლება, მათ შორის მამაჩემს. სამწუხაროდ, სულ არაფრის გამო დაიჭირეს და თავისი აქტიურობით, ციხიდან თვითონვე მიაღწია თავის გამართლებას (1952 წ.), თუმცა, ცოცხალი ვეღარ დაუბრუნდა ოჯახს. მემკვიდრეობით მამისგან არაფერი დაგვრჩენია, ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის გარდა, რომელიც, როგორც წარჩინებულ გიმნაზიელს, დირექტორმა აჩუქა და ისიც მოტყუებით წაიღეს ჩვენი ოჯახიდან.

დედაჩემმა, რომელსაც ორი კლასის განათლება ჰქონდა, ხუთი შვილი გაგვზარდა და ხუთივეს უმაღლესი განათლება მიგვაღებინა. იმ პერიოდში ეს ბევრ რამეს ნიშნავდა. უფროსმა ძმამ გიორგიმ, მამობაც გაგვიწია და ძმობაც. პროფესიული განათლების გარდა, ოთხი ძმიდან, სამი მწერლობაშიც ვცდით კალამს. უფროსი ძმა მხატვრის ნიჭით იყო დაჯილდოებული, და კი ფიზიკოსი გახლავთ. მთელი ჩემი ცხოვრება ძმებთან ერთად ასპინძაში გავატარე. იმის მიუხედავად, რომ გვიჭირდა, ბავშვობის წლებს მაინც დიდი სიამოვნებით ვიგონებ...

**– თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდით. როგორია სტუდენტობის მოგონებები...**

– როგორც გითხარით, ოთხი ძმა ვართ და აქედან სამმა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი დავამთავრეთ. ისტორიისადმი სიყვარული კი ჩემი მხარის გმირულმა ისტორიულმა წარსულმა განაპირობა. მესხეთი ხომ მუზეუმია ღია ცის ქვეშ. ყველგან, ყოველ ნაბიჯზე, ქვაში გაცოცხლებულ ისტორიას ვხედავდი და წარსულის შესწავლა ჩემი სანუკვარი ოცნება იყო. სტუდენტობის პერიოდს რაც შეეხება, ვამაყობ იმით, რომ დედაუნივერსიტეტი დავამთავრე და ძალზე ახლო ურთიერთობა მქონდა ცნობილ მეცნიერებთან, განსაკუთრებით – აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძესთან, პროფესორ გია ავალიშვილთან და სხვებთან.

არასოდეს დამავიწყდება ერთი ეპიზოდი. გამოცდას ვაბარებ ერთ-ერთ პროფესორთან, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან. ჩემი სიყრმის მეგობარიც გვესწრება. იგი იმდენად მწვავე დისკუსიაში გადაიზარდა, რომ, ბოლოს, ჩემგან რომ თავი „დაეღწია“, გაბრაზებულმა პროფესორმა მატრიკული ხელიდან გამომგლიჯა, ხუთიანი ჩამიწერა, ხელი კარებისკენ გაიშვირა – აუდიტორია დატოვეო! – მომაძახა. ამის შემხედვარე, მეგობარი გაოგნებული დარჩა და მითხრა: ვერ გავიგე, შენ გცდიდა თუ შენ ცდიდიო! მერე მე და ის პროფესორი ბოლომდე მეგობრებად დავრჩით.

**– ასპინძაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდით...**

– როგორც იტყვიან, შრომითი ნათლობა სამშენებლო-სარემონტო კანტორიდან დავიწყე, ზეინკალიც ვიყავი და ტურბაზის ადმინისტრატორიც, ბიბლიოთეკარიც და გაზეთ „ასპინძის“ ლიტმუშაკიც, საქართველოს ალკკ ასპინძის რაიკომის პირველი მდივანიც და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილეც, პრეფექტურისა და გამგეობის აპარატის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსიც, გასახსენებელი ყველგან ბევრი მაქვს.

კომკავშირულ საქმიანობას ზოგიერთები დღეს რომ მალავენ, მე ამ სფერომ ბევრი რამ მასწავლა, პირველ რიგში, შემძინა ნაცნობ-მეგობრები, გავიარე ჟიული შარტავას სკოლა.

დღეს რომ კრიტიკა მოდადაა ქცეული, იმხანად, ყველა დამეთანხმება, კრიტიკა, ისიც, მაღალი ტრიბუნიდან, დიდ რისკს მოითხოვდა. მე კი ეს შევძელი. სწორედ მაშინ სულგანათლებული დიდი ადამიანისგან, ბატონი ჟიული შარტავასაგან, უდიდესი მხარდაჭერა ვიგრძენი, – მისგან არათუ საყვედური, ერთი გადაბრუნებული სიტყვაც არ მომისმენია, პირიქით კი მოხდა – ბატონ სოსო ორჯონიკიძესთან (ცეკას მაშინდელი მეორე მდივანი) ერთად მიილო გადაწყვეტილება, გაეწია ჩვენი რაიონული ორგანიზაციისათვის ყველანაირი მატერიალური დახმარება და, პარალელურად, ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელად გამაგზავნა გერმანიაში, ხოლო შემდეგ, მისივე რეკომენდაციით, დავწინაურდი, რამაც უდიდესი სტიმული მომცა და მეტ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობდი.

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომრის მოადგილედ ჩემი მუშაობის პერიოდში დიდი მესხის, ვახტანგ გურგენიძის თანადგომით, გადავწყვიტე ვარძიის ძეგლ-ნაკრძალის 800 წელთან დაკავშირებით, ასპინძაში გამეკეთებინა რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენის ნაცვლად – მუზეუმი. მაშინ, პირადად, კულტურის მინისტრის ვალერი ასათიანისგან უდიდესი მხარდაჭერა ვიგრძენი. მისივე უშუალო ჩარევით, რამდენჯერმე ერთობლივად დავაყენეთ საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე, რუსთაველის მუზეუმის მშენებლობის დაწყების თაობაზე, მაგრამ...

**– 1998 წლიდან გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ხართ. დღეს ლიტერატურულ პერიოდიკას დაუფინანსებლობის გამო ძალიან უჭირს. ვინ არიან ის ადამიანები, ვინც გვერდით გიდგანან...**

– ისეთ პატარა რაიონში, როგორიც ასპინძაა, სალიტერატურო გაზეთის დაფუძნება ბევრისთვის წარმოუდგენელი იყო, რადგან მაშინ დედაქალაქშიც ჭირდა მისი გამოცემა და, აქ, ამ მხარეში, ეთნიკურად ურთულეს რეგიონში, ცხადია, მართლაც ძნელი იყო. ჩვენმა სასიქადულო პოეტმა მურმან ლებანიძემ, რომელსაც ახლოს ვიცნობდი, რჩევა მომცა, ჩვენი სამწერლო ორგანიზაცია ქართლის რეგიონთან გაგვეერთიანებინა და მათ გამომცემლობებთან გვეთანამშრომლა, რადგან, მწერალთა სიმცირის გამო, ეს იქნებოდა ყველაზე კარგი გამოსავალი. ამასთან, თსუ-ის სამცხე-ჯავახეთის ფილიალის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჩართვაც უდიდესი იმედის მომცემი იყო. მათი დიდი წვლილია, რომ 20 წელი გაზეთმა შეინარჩუნა თავისი სახე, განვითარდა, გაძლიერდა და ერთ-ერთ საუკეთესო სალიტერატურო გამოცემათა გვერდით დადგა და, ისიც კი შევძელით, მისი ტირაჟი 2500 ეგზემპლარამდე გაგვეზარდა, რაც იშვიათობაა დღევანდელ სიტუაციაში.




დღეს გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ გავრცელების არეალი თითქმის მთელი საქართველოა. ძალასა და ენერგიას კი კმაყოფილი მკითხველი გვაძლევს, რომელიც მოუთმენლად ელის თითოეული ახალი ნომრის გამოსვლას. სიამოვნებას გვანიჭებს ისიც, რომ ბევრი სათუთად აგროვებს ჩვენი გაზეთის თითოეულ ნომერს და საგაზეთო არქივებსაც ქმნის. გაზეთის ავტორიტეტის, მისი პროფესიული დონის ამაღლების საქმეში, უპირველესად, იმ ადამიანებმა შეიტანეს განსაკუთრებული წვლილი, რომელთა ნაღვაწი მკითხველი საზოგადოების ინტერესს იწვევს.

აქვე არ შემიძლია, არ აღვნიშნო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა აქტივობა, განსაკუთრებით მისი დამაარსებლის და პირველი რექტორის მერაბ ბერიძის, ამჟამინდელი რექტორის მაკა ბერიძის, პროფესორების – თინა იველაშვილის, ნესტან სულავას, უჩა ბლუაშვილის, ვახტანგ ინაურის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლების, ჩვენი დიდი მეგობრების – ციური ლაფაჩის, ნატო ყრუაშვილის, გრიგოლ ჯვარიძის, ლევან ლაფაჩის, ახალციხელი კალმოსნების – რეზო ანდღულაძის, სოსო გიქოშვილის, ვაჟა სამსონიძის, ბორჯომელი შემოქმედების – ვალერიან ლომიძის, უშანგი ჯანგირაშვილის, თამაზ ჩიკვაიძის, თემურ ხუხუნაიშვილის, მწერლების – დურმიშხან და რობერტ ბერიძეების, ვლადიმერ ველიჯანაშვილის, ავთანდილ ივანიძის, ცნობილი მეცნიერებისა და პუბლიცისტების – ბონდო არველაძის, ჯაბა სამუშიას, მიხეილ ბახტაძის, კახაბერ ჯაყელის, ვაჟა ოთარაშვილის, რეზო (ემელიანე) ადამიას, ნომადი ბართაიას, მურმან თავდიშვილის, გივი შაჰნაზარის, ტარიელ ფუტკარაძის, სხვათა და სხვათა ინტელექტუალური თანადგომა.

**– თქვენი ინიციატივით 2008 წლიდან აღდგა „პოეზიის სახალხო დღესასასწაული „შოთაობა“, რომელიც 12 წელია, იმართება სოფელ რუსთავსა და ვარძიაში. ხართ „შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების ფონდის“ გამგეობის თავმჯდომარე. შოთაობის ჯილდო პოეზიაში ერთ-ერთი გამორჩეული და საპატიოა. რას გვეტყვით დღესასწაულ „შოთაობის“ მნიშვნელობაზე და ვინ არიან ლაურეატები?**

– „პოეზიის სახალხო დღესასწაული შოთაობა“, უპირველე-

**– ბოლო დროს გამარჯვებულთა დაჯილდოება თბილისში იმართება...**

– დიახ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტის (ყოფ. რექტორი დიმიტრი კორძაია) მხარდაჭერით, პარტნიორული ურთიერთობა დავამყარეთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი, „შოთაობის“ დღესასწაულზე მათი წარდგენის შემდეგ, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში იმართება. ეს კი დიდი იმედია – დედაქალაქის ჩართულობა ამ დღესასწაულში უფრო გაიზრდება.

დიდ სიამოვნებას მგვრის ისიც, რომ ჩვენი „შოთაობის პრემია“ პრესტიჟულ ჯილდოდაა მიჩნეული და არაერთი დიდი და გამოჩენილი ქართველი პოეტია მისი ლაურეატი. უფრო მეტიც, დაჯილდოებულთა შორის ზოგიერთმა ახალგაზრდა პოეტმა აღიარება ჩვენი ამ პრემიით დაჯილდოების შემდეგ მოიპოვა.

**– თბილისის მერიამ 2010 წელს დაგაჯილდოვათ „ქართული კულტურის დესპანის“ მედლით, ქართული მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მოგენიჭათ „ქართული მწერლობის ამაგდარის“ და, ამავე დროს, „ქართული კულტურის რაინდის“ წოდებები... რომელი ჯილდოა თქვენთვის ყველაზე ძვირფასი?**

– ჯილდო, რომელიც არ უნდა იყოს, ყველა ძვირფასია, ყველა მათგანში ადამიანის შრომის ნაყოფია. როცა გაჯილდოებენ, ეს იმას ნიშნავს, – დაიმსახურე, შენში რაღაც კარგი საქმე დაინახეს. გახალისებენ იმისათვის, რომ კიდევ შექმნა რაღაცა, კიდევ მოუტანო სარგებელი შენს ხალხს. თუმცა ეს მაინც ავანსია. ასე ყოფილა ეს ცხოვრება და ასეც იქნება.

**– თქვენი ჰობი, ანუ გატაცება...**

– ძალიან მიყვარს ჭადრაკი, წიგნების შეძენა, კითხვა და „ლიტერატურულ მესხეთზე“ ფიქრი.

**– ოჯახი...**

– ადამიანისთვის მთავარი ოჯახია, ურომლისოდაც არაფერს არ წარმოვადგენთ. ჩვენი თავი ოჯახს ეკუთვნის და ოჯახურ სითბოს, ბედნიერებას, შვილებსა და შვილიშვილებში ვხედავთ. სახელმწიფოს სიძლიერეც მხოლოდ და მხოლოდ მტკიცე ოჯახებზეა დამყარებული. მყავს მეუღლე, ურომლისოდაც ვერც ამ გაზეთს შევინარჩუნებდი და ვერც ამ წიგნებს გამოვცემდი. იგი პროფესიით ბიბლიოთეკათმცოდნე-ბიბლიოგრაფია და კარგად იცის გაზეთისა და წიგნის ფასი. სამი შვილის – ორი ვაჟის და ერთი ქალიშვილის მამა ვარ. ჩემი ცხოვრების აზრს მათსა და სამ შვილიშვილში ვხედავ.

**– სამომავლო გეგმები...**

– როგორც აღვნიშნე, მზად მაქვს „მესხური ფოლკლორის“ II-III ტომები, რომელთა გამოცემას უახლოეს მომავალში ვფიქრობ, ხოლო წლის ბოლომდე გამოვა ჩემი ლექსების კრებული, სადაც, ძირითადად, შევა ბოლო წლებში შექმნილი პოეზია.

**– მესხეთის სატკივარი...**

– მესხეთს ყოველთვის დიდი სატკივარი ჰქონდა, დრომ ვერა და ვერ განკურნა მისი ტკივილები. მწვავე დემოგრაფიული მდგომარეობის გამო მესხეთი იცლება! იმის მიუხედავად, რომ ბევრი რამ კეთდება სხვადასხვა მიმართულებით, ძირძველი მოსახლეობის დაცლისაგან უნდა გადავარჩინოთ რუსთაველისა და სარგის თმოგველის, ოპიზრების სამშობლო. ეს უნდა იყოს მთავარი საზრუნავი იმათგან, ვისაც ეს ხელეწიფება.



ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

***როგორც წესი, ადამიანები ყველაზე უფრო ხშირად ბრწყინვალე ადამიანთ ეტორღიალებიან. თვალმოჭრილნი იმათი წარმატებულობითა და სილამაზით, ისე იქცევიან, თითქოს იმ ბედგაღიმებულთ ოქროს მტვერი სცვიოდეთ და თუ იმათგან ჩამოცვივნული მტვრის ერთ ნამცეცს მაინც ჩაიგდებენ, ისინიც იმათნაირნი გახდებიან.***



## ადამიანებზე

უკეთუ ადამიანს არავითარი ხილული ნაკლოვანებები არა აქვს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ იმის ყოვლად საუკეთესო თვისებები ძალზე მოსაწყენია.

* * *

ადამიანთა უმრავლესობის სინდისი სხვა არაფერია, თუ არა სხვა ადამიანთა აზრის შიში.

## მამაკაცებზე

კაცებს არ უნდა ვატყუებდეთ, თუ კაცმა ერთხელ ერთი ქალი ამხილა სიცრუეში, ის მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ ხასიათის ყოვლის უფრო საზიზღარ თვისებებს დაინახავს სხვა ქალებში და ძნელად თუ ვინმე აზრს შეაცვლევინებს.

* * *

რისთვის არიან საჭირონი მამაკაცნი? იმათ ჩვენს ცხოვრებაში ის შემოაქვთ, რაც ჩვენ თვითონ არა გვაქვს: ჩვენთა ემოციათა დოზირება და სუყოველ წვრილმან უსიამოვნებაზე ყურადღების მიუქცევლობა. ქალები კი საჭირონი ვართ შეგრძნებათა სიმწვავისთვის. უჩვენოდ იმათი თვალები მარტო შავსა და თეთრს მოიხილავდნენ.

* * *

ბევრია ისეთი შემთხვევა, როცა კაცი ბერდება, მით უფრო ნორჩის მოყვანა უნდა ცოლად.

* * *

თუკი ის ნამდვილი მამაკაცია, შექმნილია იმისთვის, რომ სისხლი აგვიდუღოს.

* * *

მამაკაცნი, ოდესმე თუ ვინმე მომწონდა, გარეგნულად არც ერთი ერთმანეთს არა ჰგვანებია და არც ხასიათები ჰქონიათ ერთნაირი. იცით, რა აერთიანებდა ყველას? იმათ ჩემი შეყვარების უნარი ჰქონდათ.

* * *

მტკიცედ მჯერა, რომ ქალისთვის უკიდურესად არაგონივრულია არჩევანი იმ ორ მამაკაცს შორის, რომელთაგან ერთი ფრიად სასიამოვნო მოსაუბრეა, ხოლო მეორე, ძვირფასი საჩუქრებით რომ აგავსებს. უკეთუ კაცს მართლა უყვარხარ და თავს დაგკანკალებს, ის შენი გულისთვის ყველაფრისთვის მზად არის. თუნდაც თქვენს შეხვედრამდე ის სულ სხვაგვარად იქცეოდა.

## ქალებზე

ქალების უმრავლესობას კაცები არამზადებად და ნამუსგარეცხილებად მიაჩნიათ, ოღონდ სანამ თავიანთ შესაფერის შემცვლელს იპოვიდნენ.

* * *

არა ღირს, ნუ დაუჯერებთ იმ ქალებს, ვინც ქათინაურების გამო გულგრილად ან კონტრარგუმენტებით გიპასუხებთ. ძალიანაც მოსწონთ, რაც ესმით და მზად არიან, რომ ეს უსასრულოდ დიდხანს ისმინონ. ამიტომ არ ღირს გაჩერება.

* * *

ქალი სქელი თუა, ხორცმრავალი, ის შეიძლება, რომ სექსუალურად მაინც გამომწვევი იყვეს: ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თვითონ თავს როგორ გრძნობს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №31-32, 35, 37-40, 45-46

## სახელ-დიდებაზე

სახელოვნებასა და პოპულარობას მიჩვეული ვარ, ის კი არა, თავდასხმებსაც ბავშვობიდანვე, ამიტომაც მშვიდად ვიტანდი ყურადღების ყოველგვარ გამოვლინებას, ხშირად ზედმეტსა და მომაბეზრებელს, ჩემდამი და ჩემი ოჯახისადმი.

* * *

რა ვუყოთ, ლეგენდად რომ იქცე, ჯერ უნდა მოკვდე, ამიტომ, თუ იმას ჩივით, რომ ყოველგვარი ძალისხმევისა და ნიჭის მიუხედავად, ლეგენდარული პიროვნება მაინც ვერ გახდით, დამშვიდდით. ცოტა ცდა კიდევ დაგჭირდებათ.

* * *

ათი წლიდან სულ შრომაში ვარ, ჯერ ადრეა ჩემი გასავალში ჩაწერა. სულაც არ ვაპირებ ჩემი თავისთვის ჯვრის დასმას. თვითშეფასების მხრივ არცრა პრობლემა არა მაქვს და სულაც არ ვაპირებ ჩემი „მე“-ს ლოლიავსა და გასათუთებას. მე მშვენივრად ვიცი, ვინა ვარ და რას წარმოვადგენ, და არა, როგორც კინოვარსკვლავი, არამედ, უბრალოდ, როგორც ქალი.

* * *

წარმატება უდიდესი დეზოდორანტია, რომელიც ბევრად აღემატება ყველაფერს, თუ რამ ოდესმე საპარფიუმერიო ინდუსტრიას მოუგონია. წარმატება იოლად და სწრაფად აქრობს ყველა თქვენს წარსულ სუნს.

* * *

ზოგიერთის აზრით, დიდი სიყვარული მხოლოდ ერთხელ ხდება ცხოვრებაში. მე გათხოვილი ვიყავი რვაჯერ და ყოველთვის დიდი სიყვარულით ვთხოვდებოდი.

* * *

თუკი ვინმე მიყვარს, ზუსტად ასპროცენტიანია ეს სიყვარული. მე სიმყუდროვე მიყვარს, ოჯახის ჩემეული გაგებით მუდამ ერთად უნდა ვიყვეთ, ერთად უნდა მივდიოთ ცხოვრების გზას, ერთად უნდა დავბერდეთ და სიკვდილითაც ერთად უნდა დავიხოცოთ.

* * *

ვინ არის შენი უტყუარი მეგობარი, მხოლოდ ერთი ხერხით შეიძლება გაგება: როცა ხმაურიან აყალმაყალში ხვდები.

* * *

არასოდეს არ მესმოდა იმ ქალებისა, ვისაც სუყოველი მამაკაცი უკლებლივ თხებად მიაჩნია. კაცები ალამაზებენ ქალების ცხოვრებას, გულწრფელად მერწმუნეთ. მე, სულ ცოტა, რვა კაცს ვიცნობდი, რომელთაც შეეძლოთ დარდის გაქარვება და ღიმილის გამოწვევა. ისინი ყველანი ჩემი ქმრები გახდნენ.

* * *

სიყვარულში აუცილებელია შეხმატკბილება. როგორც კი ის აქროლდება, უმალ სიცივე ისადგურებს. ორივენი მყუდროებას კარგავენ ერთმანეთის გვერდით, ყოველდღიურ შთაბეჭდილებათაგან ჩნდება გულგრილობა, რომელ შთაბეჭდილებათა დაშრევება ხდება ყოველდღე. მერე უკვე დგება ისეთი მომენტი, როცა ამ შთაბეჭდილებათაგან საჭიროა გათავისუფლება.

* * *

ძნელია იმ კაცის შეუყვარებლობა, რომელსაც თუნდაც სამუშაოსდა გამო დღეში ორმოცჯერ ეკოცნავები. გინდ ერთი კვირის გაცნობილნიც იყვნეთ, რომელიღაც მომენტში ის აუცილებლივ შენი ძალიან ახლობელი ხდება.

* * *

პირველად ქალიშვილი ჩვეულებრივ გონების დაბნელებისგან თხოვდება და მხოლოდ მეორე გათხოვებისას ადგმევინებს გვირგვინს ნამდვილი სიყვარული... მესამეჯერ გათხოვებას ვნებათაღელვა აბედვინებს, მეოთხეჯერ – გამოცდილება, მეხუთეჯერ – იმედოვნება...

– მეექვსეჯერ?

– თქვენ რა, იცით ისეთი ქალი, რომელიც მეექვსედ გათხოვდა? მისამართი მომეცით, თუ შეიძლება!

# „ცხოვრებაში ყოველთვის ჯერ ირჩევ, ზოგიერთი შენ გირჩევს“



ასე ამბობდა ელისაბედ ტეილორი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

## ფულზე

თუკი ვინმე ისეთი სულელი აღმოჩნდა, რომ ფილმში გადაღების საფასურად მილიონი დოლარი შემომთავაზა, გარწმუნებთ, რომ ნამდვილად არა ვარ იმდენად სულელი, არა, არ მინდა-მეთქი, ამ წინადადებაზე ვუთხრა.

* * *

1963 წელს მე მეტს გამოვიმუშავებდი, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი. ჩემი წლიური შემოსავალი შეადგენდა 2,3 მილიონ დოლარს, ხოლო ჯონ კენედი წელიწადში სულ 150 ათასს იღებდა.

* * *

რაც ერთი დოლარი ღირს, არ ღირს იმის ქონა.

* * *

ახალგაზრდა თუ ხარ, უფულოდაც შეგიძლია ყოფნა, მაგრამ უფულოდ მოხუცი ვერ იქნები.

* * *

არის მდიდარ კაცთა ორი სახეობა, ზოგს ბევრი ფული ცოლის წყალობით აქვს, ზოგს კი ბევრი ფულის წყალობით ჰყავს ცოლი.

* * *

მე პატრიოტი ვარ, მიყვარს ამერიკა და ინგლისი, მაგრამ რატომ უნდა მივცე ჩემი შემოსავლის დიდი ნაწილი იმ ქვეყნის ხაზინას, რომელ ქვეყანასაც შეშლილ ფანატთაგან ჩემი თმისა და ჩემი ზურგის დაცვის თავიც კი არა აქვს.

* * *

მსხვილ გოგოებს მსხვილი ბრილიანტები უნდათ.

## სიყვარულზე, მეგობრობასა და ქორწინებაზე

ამქვეყნად სიყვარულზე უკეთესი წამალი არ არის.

* * *

ქმრიანი გაცილებით ბედნიერად ვგრძნობ თავს, ვიდრე თავხელმარტო.

* * *

მეგობრების ნდობა, რასაკვირველია შეიძლება, მაგრამ უფრო მეტად საკუთარ თავს ენდეთ. დედამიწის ზურგზე ვერც ერთი ადამიანი ვერ გაგიგებთ უფრო უკეთესად, ვიდრე თქვენ თვითონ გაუგებთ თქვენს თავს.

## სიბერესა და ავადმყოფობაზე

გუშინ 70 შემისრულდა და ამ საბაბით ნადიმი გავმართე. დღეს კიდევ ერთ ნადიმს გავმართავ და, ვფიქრობ, უქმე დღეებშიც მივაყოლო. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს კვლავ 45 წლის ვიყვე და დარწმუნებული ვარ, სულაც ცუდად არ გამოვიყურები ჩემი წლებისდა მიხედვით, თუმცა არც რა ავადმყოფობა დამკლებია, არც ოპერაციები და სხვა არაერთი უსიამოვნება.

* * *

თუ იმ დღეებს დავითვლით, ჰოსპიტალში ანდა საერთოდ ლოგინში რომ გამიტარებია ავადმყოფობის გამო, ბევრად მეტი გამოვა, ვიდრე ყველა დანარჩენი.

(გაგრძელება იქნება)

***მამაკაცი ციდან მოვლენილი ნამდვილი მადლია. ის ალამაზებს ქალის ცხოვრებას, რომელსაც ნამდვილი ემოციებითა და ნაირ-ნაირი სიურპრიზებით სავსე დღესასწაულად აქცევს.***



# პროკურატურამ მამუკა ხაზარაძის მიერ წარდგენილი წერილის ასლი გამოაქვეყნა



საქართველოს გენერალურ პროკურატურაში „თიბისი ბანკის“ საქმეზე ბრიფინგი ჩატარდა. როგორც უწყებაში თქვეს, ხაზარაძის განცხადებაზე მუქარის შემცველი წერილის მიღების თაობაზე უწყებაში დაიბარეს, თუმცა უარი თქვა და სასამართლოში გამოკითხეს.

**„საქმის ერთ-ერთმა ცენტრალურმა ფიგურანტმა მამუკა ხაზარაძემ, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას, საქართველოს პარლამენტის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიასგან მიიღო მუქარის შემცველი წერილი.**

**მამუკა ხაზარაძის აღნიშნულ განცხადებას საქართველოს პროკურატურის მხრიდან მოჰყვა მყისიერი სამართლებრივი რეაგირება და იგი დაუყოვნებლივ იქნა გამოსაკითხად გამოძახებული პროკურატურაში, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა, რის გამოც 2019 წლის 5 მარტს იგი მოწმის სახით დამატებით დაიკითხა თბილისის საქალაქო სასამართლოში.**

**მამუკა ხაზარაძემ დაკითხვისას წარმოადგინა კომპიუტერულ პრინტერზე დაბეჭდილი ე.წ. დოკუმენტი, რომელსაც არ გააჩნია არანაირი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები და ნიშნები, მათ შორის არც შედგენის თარიღი, ადგილი, შემდგენის ვინაობა, ხელმოწერა და სიტყვიერად კი განმარტა, რომ მუქარის წერილის დედანი კვლევისთვის საზღვარგარეთ აქვს გაგზავნილი და ამიტომ, გამოძიებას წარმოუდგინა მხოლოდ ამ ე.წ. დოკუმენტის ასლი. გარდა ამისა, მან, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ დაასახელა იმ შუამავლის ვინაობა, ვინც მას ეს ე.წ. წერილი, მისი სიტყვების თანახმად, გადასცა.**



• დადასტურებულად ვიცით, რომ გვებრძვით და აქ საქმე არ ეხება მხოლოდ ფინანსებს;
• ჩვენ ვთქვით, რომ მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის, თუმცა, თქვენი მხრიდან გრძელდება დესტრუქციული ქმედებები.

ყველანაირი წინაპირობის გარეშე:

1. უახლოეს 5 დღეში TV1 უნდა დაჯდეს TV იმედის ტრენდზე, გადავიდეს მაუწყებლობის საგანგებო რეჟიმზე (ეს უნდა დავინახოთ არხის სარედაქციო პოლიტიკიდან).
2. მ.ხ.-მ უნდა გააკეთოს ოფიციალური განცხადება, რომ მისთვის მიუღებელია ნაციონალური მოძრაობის რევანში. ქართულ ბიზნესს კარგად ახსოვს, როგორ ექცეოდნენ მას ნაციონალური მოძრაობის პირობებში და რომ ამის გამეორება მიუღებელია. მან უნდა მოუწოდოს ბიზნესმენებს, მათ ვისაც მსგავსი პოზიცია აქვთ, გაერთიანდნენ და ერთობლივად იმოქმედონ. (შემდეგ უკვე მისი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი)
3. არტარეას უნდა დაეტყოს ობიექტურობის მაღალი ხარისხი.

• ამ შემთხვევაში ჩვენ მზად ვართ, ვაწარმოოთ ჯანსაღი მოლაპარაკებები ყველანაირი წინაპირობის გარეშე.
• წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა სამართლებრივ და ობიექტურ საშუალებას და გავაკეთებთ ამას საჯაროდ, შიდა და საერთაშორისო მომხმარებლებისთვის.

**აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, გამოძიება, ამ ეტაპზე, მოკლებულია მამუკა ხაზარაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების და მისი უტყუარობის დადგენის შესაძლებლობას, რადგან ვერც დოკუმენტის ავთენტიკურობის დადგენის მიზნით მოახდენს ექსპერტული კვლევის ინიცირებას, რადგან სახეზე მხოლოდ ე.წ. დოკუმენტის ასლია და ვერც ე.წ. შუამავალს დაკითხავს, მოწმე ხაზარაძის მიერ მისი ვინაობის გაუმჟღავნებლობის გამო.**

**მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს გენერალური პროკურატურა აქვეყნებს სასამართლოში მამუკა ხაზარაძის მიერ წარდგენილ ე.წ. დოკუმენტს და კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სასამართლოში დაკითხვისას მოწმე ხაზარაძემ სრულყოფილად არ ითანამშრომლა გამოძიებასთან“,** — თქვეს უწყებაში.

გენერალურმა პროკურატურამ იმ წერილის ასლი გამოაქვეყნა, რომელიც „თიბისი ბანკის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის თქმით, არჩევნების მეორე ტურის შემდეგ შს მინისტრისგან გიორგი გახარიასგან მიიღო:

**„დადასტურებულად ვიცით, რომ გვებრძვით, და აქ საქმე არ ეხება მხოლოდ ფინანსებს;**

**ჩვენ ვთქვით, რომ მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის, თუმცა, თქვენი მხრიდან გრძელდება დესტრუქციული ქმედებები.**

**ყველა წინაპირობის გარეშე:**

**უახლოეს 5 დღეში TV1 უნდა დაჯდეს TV იმედის ტრენდზე, გადავიდეს მაუწყებლობის საგანგებო რეჟიმზე (ეს უნდა დავინახოთ არხის სარედაქციო პოლიტიკიდან).**

**მ.ხ.-მ უნდა გააკეთოს ოფიციალური განცხადება, რომ მისთვის მიუღებელია ნაციონალური მოძრაობის რევანში. ქართულ ბიზნესს კარგად ახსოვს, როგორ ექცეოდნენ მას ნაციონალური მოძრაობის პირობებში და რომ ამის გამეორება მიუღებელია. მან უნდა მოუწოდოს ბიზნესმენებს, მათ ვისაც მსგავსი პოზიცია აქვთ, გაერთიანდნენ და ერთობლივად იმოქმედონ (შემდეგ უკვე მისი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი)**

**არტარეას უნდა დაეტყოს ობიექტურობის მაღალი ხარისხი. ამ შემთხვევაში ჩვენ მზად ვართ, ვაწარმოოთ ჯანსაღი მოლაპარაკებები ყველანაირი წინაპირობის გარეშე;**

**წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა სამართლებრივ და ობიექტურ საშუალებას და გავაკეთებთ ამას საჯაროდ შიდა და საერთაშორისო მომხმარებლებისათვის“.**

ამგვარი ბოდვის თუ სჯერა საპარლამენტო ოპოზიციას და ხაზარაძის მომხრეებს, კარგად ყოფილა მათი საქმე.

# შეთქმულების თეორიებით ცდილობენ, თავი აარიდონ ვალდებულებებს და დააზიანონ სახელმწიფო ინტერესები

ამის შესახებ შს მინისტრმა **გიორგი გახარიამ** პარლამენტში ჟურნალისტებს განუცხადა, რომლებმაც „თიბისი ბანკის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის განცხადებებთან დაკავშირებით ჰკითხეს.



**„მე, ყველა ფორმატში, პროკურატურა იქნება, პარლამენტი იქნება — მზად ვარ, ღიად ვისაუბრო ობიექტურ გარემოებებზე, იმ შეფასებებზე, რომელიც მე მაქვს. მე გამოვყოფ რამდენიმე, ჩემთვის მნიშვნელოვან მომენტს: პირველი — სამწუხაროდ, პარლამენტის ტრიბუნა იყო გამოყენებული, ჩვეულებრივი ჭორაობისა და ტყუილებისათვის. მეორე — ამას თავისი მიზანი ჰქონდა და ნათელია, ამის მიზანი იყო შინაარსობრივი საუბრიდან აქცენტების გადატანა, რაღაც სკანდალებზე და ეს გამოვიდა. მესამე — მე, როგორც ვიცე-პრემიერი და ყოფილი ეკონომიკის მინისტრი, ძალიან კარგად ვიცი, ამ ქვეყნისთვის, მომავლისთვის, რას ნიშნავს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი. დღეს, როგორც შს მინისტრი და ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი, ასევე, ძალიან კარგად მესმის, რას ნიშნავს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების არქიტექტურისთვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანი კომპონენტია. საერთოდ, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი არის ამ ქვეყნის მომავალი. და, ჩვენ ვსაუბრობთ, როგორც ეკონომიკაზე, ისევე უსაფრთხოებაზე. ჩემთვის, უკიდურესად სამწუხაროა, რომ სკანდალებისა და რაღაც შეთქმულების თეორიებით ადამიანები ცდლობენ, თავიანთ ვალდებულებეებს თავი აარიდონ და ამით, დააზიანონ სახელმწიფო ინტერესები. არავის გამოუვა, არც ერთ კონტექსტით — სკანდალებით, ჭორაობებით იმ ვალდებულებს, რომელიც აღებულია წლების წინ, თავი აარიდონ“,**



— განაცხადა გახარიამ.

# „ლურჯი დროშა“ ბათუმის ბულვარში

**მსოფლიოში გარემოს დაცვის მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ორგანიზაცია „გარემოს დაცვის განათლების ფონდი“ (FEE) საქართველოთი ინტერესდება და პირველ საინფორმაციო შეხვედრას ბათუმში მართავს.**

ბათუმის ბულვარის მოწვევით ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დანიელ შაფერი პრეზენტაციას 7 მარტს სასტუმრო რედისონში გამართავს. შეხვედრა დილის 10 საათიდან 15-მდე გაგრძელდება და მას აჭარის სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების, ასევე განათლების სისტემის წარმომადგენლები დაესწრება. „გარემოს დაცვის განათლების ფონდი“ დღევანდელ მსოფლიოში 5 საგანმანათლებლო პროექტითაა წარმოდგენილი. ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ბათუმელ მსმენელს ყველა მათგანის, მათ შორის „ლურჯი დროშის“ პროექტის შესახებ მიაწოდებს ინფორმაციას. აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, ბათუმის ბულვარი გეგმავს საზღვაო ქალაქისა და ტურისტული რეგიონისთვის ისეთ მნიშვნელოვან პროგრამაში გაწევრიანებას, როგორიცაა „ლურჯი დროშის“ საერთაშორისოდ აღიარებული ნიშანი.

# ევროპული სტანდარტების პედიატრიული კლინიკა — „ნიუ ჰოსპიტალსში“




**„ნიუ ჰოსპიტალსში“ ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრის პრეზენტაცია გაიმართა. სტუმრებმა ევროპული სტანდარტების პედიატრიული კლინიკა დაათვალიერეს და მასში არსებულ სერვისებს გაეცნენ. ცენტრი „ნიუ ჰოსპიტალსის“ არსებულ მისამართზე, თბილისის პრესტიჟულ უბანში — კრწანისის ქუჩაზე მდებარეობს და ჰოსპიტლის ახალაშენებულ კორპუსშია განთავსებული.**

ახალ შენობაში, რომლის სრულად გახსნა 18 მარტს იგეგმება, ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრის გარდა ამოქმედდება კარდიოქირურგიული განყოფილება, ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის გაფართოებული განყოფილება და ორთოპედია-ტრავმატოლოგიის ცენტრი განახლებული ფორმატით. აპრილიდან კი „ნიუ ჰოსპიტალსში“ ფუნქციონირებას დაიწყებს ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ცენტრი. ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი, რომელიც უპრეცედენტოა ინფრასტრუქტურითა და სერვისების ხარისხით, პაციენტებს 24 საათის მანძილზე გაუწევს საუკეთესო პედიატრიულ მომსახურებას. ცენტრი დარგის წამყვანი სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული და მას ბავშვთა გადაუდებელი მედიცინის მრავალწლიანი გამოცდილების სპეციალისტი, მედიცინის დოქტორი დავით ციბაძე უხელმძღვანელებს. სრული პედიატრიული მომსახურების ფარგლებში, „ნიუ ჰოსპიტალსში“ ფუნქციონირებას იწყებს ბავშვთა კრიტიკული და გადაუდებელი მედიცინის ცენტრი; ასევე, ბავშვთა ორთოპედიული, კარდიოლოგიური, ნეიროქირურგიული, ჰემატოლოგიური და ლაპარასკოპიული ქირურგიის მიმართულებები.

**ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრის გახსნასა და სამედიცინო მომსახურების სრულყოფაში მსოფლიოს წამყვანი კლინიკების ექიმები მონაწილეობდნენ. ამერიკის საუკეთესო ჰოსპიტლის, „მეიოს კლინიკის“ დელეგაციამ სამუშაო სასწავლო შეხვედრების ციკლი ჩაუტარა „ნიუ ჰოსპიტალსის“ სამედიცინო პერსონალს. საფუძველი ჩაეყარა გერმანიის „კაიზერის პედიატრიულ კლინიკასთან“ თანამშრომლობას, რის შედეგადაც ქართველმა ექიმებმა გერმანიაში გაიარეს სტაჟირება. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საფრანგეთის მოწინავე კლინიკასთან —„არპაჟონის ცენტრალურ ჰოსპიტალთან“, რომლის ფარგლებშიც ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრის ექიმები კვალიფიკაციის ასამაღლებლად საფრანგეთში გაემგზავრნენ, ხოლო ფრანგი სპეციალისტები „ნიუ ჰოსპიტალსს“ ეწვევიან. აღნიშნული თანამშრომლობების მიზანია ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრში დაინერგოს ევროპული და ამერიკული მედიცინის მიღწევები და შესაძლებელი გახდეს პაციენტებისთვის საუკეთესო პედიატრიული მომსახურების მიწოდება.**

**„ნიუ ჰოსპიტალსი“ ევროპული სტანდარტების დაცვით აშენებული, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, 250-საწოლიანი მრავალპროფილური კლინიკაა, რომელიც 2011 წლიდან უმაღლესი ხარისხის სტაციონარულ და ამბულატორიულ სერვისებს სთავაზობს პაციენტებს. „ნიუ ჰოსპიტალსის“ გამორჩეული ინფრასტრუქტურა და პროფესიონალთა გუნდის შეთანხმებული, მულტიდისციპლინური მიდგომა, პაციენტების მკურნალობის შედეგიანობისა და კმაყოფილების საწინდარია.**



# გელა ჩარკვიანის საიუბილეო საღამო

**თიბისი გალერეაში გელა ჩარკვიანის 80 წლის იუბილეს აღსანიშნავი საღამო გაიმართა. გელა ჩარკვიანმა ახალი წიგნით — „ნაგერალა 80“ გაგვახარა, რომელიც გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა.**

ახალი წიგნი ავტორის ცხოვრებასავით პოლიჟანრულია: აქ მკითხველი ჩანაწერების გარდა, მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში დაწერილ მოთხრობებსა და პიესასაც შეხვდება, რომლებმაც ერთი ციკლის ქვეშ მოიყარა თავი: „წარსულში ჩადენილი ლიტერატურული შეცოდებანი“. წიგნში როლები გამუდმებით იცვლება: 80-ს მიტანებული წიგნის მთავარი პერსონაჟი ხან მახვილგონიერი დამკვირვებელია, ხან ეპატაჟების მაძიებელი ახალგაზრდა, ხშირად კი სოლიდური პროფესიული გამოცდილების დიპლომატი, რომელიც აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე სანდო და სიღრმისეულ ანალიზს გვთავაზობს. ამის პარალელურად, იმავე ამპლუაში შექსპირისადმი მიძღვნილ ბრწყინვალე და ბევრისთვის დაუვიწყარ სიტყვას წარმოთქვამს შექსპირისავე სამშობლოში.

„ნაგერალა 80“ აერთიანებს გელა ჩარკვიანის, როგორც მეუღლის, მამისა და ბაბუის, ცხოვრებისეულ ამბებს. ამ შემთხვევაშიც ბუნებრივად მონაცვლეობს განწყობები: სევდიან ამბავს მხიარული შემთხვევა მოსდევს, მძაფრ პირად ტრაგედიებს — დროის პარადოქსებით აღბეჭდილი მოგონებები.

საღამოზე გელა ჩარკვიანმა წიგნიდან ნაწყვეტები წაიკითხა და როიალზე რამდენიმე ნაწარმოები შეასრულა. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა — გიორგი კეკელიძემ მას წლის მკითხველის საპატიო ორდენი გადასცა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მწერლები: ზვიად კვარაცხელია, გიორგი კეკელიძე, თეონა დოლენჯაშვილი, რუსიკო რუხაძე და ეკა ტოგონიძე. გელა ჩარკვიანის კარიერა საქართველოს ტელევიზიიდან დაიწყო — 1976 წლიდან 18 წლის განმავლობაში საავტორო გადაცემა მიჰყავდა. 1984 წლიდან 8 წლის განმავლობაში საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს კულტურულ ურთერთობათა ვიცე-პრეზიდენტი იყო, 1992 წლიდან 11 წლის მანძილზე საგარეო პოლიტიკის საკითხებში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მრჩეველი, 2006-2009 წლებში კი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში. ინტერესის სფეროთა მრავალფეროვნების მიუხედავად, გელა ჩარკვიანს მუსიკა ყველაზე მეტად იტაცებდა. მისი საფორტეპიანო მინიატიურების CD 2001 წელს გამოიცა. გელა ჩარკვიანმა შექსპირის „მეფე ლირი“ თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნა. ამ პიესის მიხედვით თბილისში, რუსთაველის თეატრში 1990-იანებში სპექტაკლები დაიდგა. გელა ჩარკვიანის ბიბლიოგრაფია ჯამში 6 წიგნს აერთიანებს: „ინტერვიუ მამასთან“, „ნარგიზა“, „ნაგერალა“, „ნაგერალა 2“, „ნაცნობ ქიმერათა ფერხული“, „ნაგერალა 80“.

**ჩვენი გაზეთის რედაქცია გულწრფელად ულოცავს უნიჭიერეს და დღევანდელ საქართველოში ყველაზე კოლორიტულ პიროვნებას, „საქართველოს რესპუბლიკის“ უერთგულეს მეგობარს გელა ჩარკვიანს სახელოვან იუბილეს და სულიერ მხნეობას უსურვებს.**

# ნიუ-იორკში ქართული კულტურისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა

**საქართველოს გენერალური საკონსულოს ორგანიზებით ქალაქ ნიუ-იორკში ქართველი ხელოვანების, მომღერალი ნუცა ნებიერიძისა და მხატვარი ბელა რომელაშვილის ერთობლივი ღონისძიება — „The Connections“ გაიმართა.**



ბელა რომელაშვილი ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი მხატვარია, ხოლო მომღერალ ნუცა ნებიერიძეს კარგად იცნობს ქ. ნიუ-იორკის პუბლიკა. ასევე საქართველოს საკონსულოს ორგანიზებით, ქ. ნიუ-იორკში გაიმართა ადამ მორგანშტერნის ფოტოგამოფენა სახელწოდებით „Ten Stories from Georgia“. ფოტოგრაფმა სტუმრებს გაუზიარა საქართველოში მოგზაურობისას მიღებული საინტერესო გამოცდილება და მის მიერ გადაღებული ფოტოების ისტორია. წარმოდგენილი ნამუშევრები ასახავენ ქართულ ტრადიციებს და ღვინის წარმოების უძველეს კულტურას. აღსანიშნავია, რომ ადამ მორგანშტერნი ამერიკელი ჟურნალისტი და ფოტოგრაფია, რომლის ნამუშევრებიც ხშირად გვხვდება ცნობილ გამოცემებში, როგორიცაა: Forbes, Wall Street Journal და სხვ.

# ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ლონდონში

**დიდ ბრიტანეთში, ლონდონში საქართველოს საელჩოს, აზიის სახლისა და ბრიტანულ-ქართული საზოგადოების თანაორგანიზებით, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. პროექტი, რომლის ავტორი მხატვარი ანდრო სემეიკოა, მრავალგანზომილებიანია და აერთიანებს ვაჟა- ფშაველას პოემებისა და ლექსების თარგმანებს, დიზაინერ მანანა ანთელიძის მიერ პოეტის შემოქმედების შთაგონებით შექმნილ სამოდელო ესკიზებს, თანამედროვე ქართველი მწერლის ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობებსა და მხატვრების ლეონიდ და ანდრო სემეიკოების ნახატებს.**



ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა თამარ ბერუჩაშვილმა და აზიის სახლის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელმა პამელა კემბერმა. საქართველოს ელჩმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ქართული ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. აღსანიშნავია, რომ ვაჟა-ფშაველას პოემებიდან ნაწყვეტების ინგლისურენოვანი თარგმანები წაიკითხეს ბრიტანული კინოაკადემიის — BAFTA-ს ჯილდოს მფლობელმა, ცნობილმა უელსელმა მსახიობმა შაან ფილიპსმა და პროფესორმა დონალდ რეიფილდმა. ღონისძიების დასასრულს სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ქართველი პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა დაეთვალიერებინათ. საღამო მუსიკალურად გააფორმა ანსამბლმა „მასპინძელმა“.



# მსოფლიოს ყველაზე ძვირი ქალაქები - ტოპათეული

**საერთაშორისო ორგანიზაცია DEMOGRAPHIA INTERNATIONAL HOUSING AFFORDABILITY SURVEY-მა ჩაატარა კვლევა მსოფლიოს 309 ქალაქში, და დაადგინა, რომელი ქალაქებია ყველაზე ძვირი ცხოვრებისთვის.**

### 10. სან-ფრანცისკო, აშშ

მსოფლიოს ერთ-ერთი კულტურული ცენტრი, განთქმულია მთაგორიანი ლანდშაფტით, ასევე ვიქტორიანული ეპოქის და თანამედროვე არქიტექტურის სინთეზით. ქალაქის ეკონომიკა სწრაფად გაიზარდა იმის შემდეგ, რაც მის სამხრეთით გაჩნდა სილიკონის ველი, სადაც განლაგდა მსოფლიოში უმსხვილესი და უძლიერესი ტექნოლოგიური ცენტრი. ასევე სილიკონის ველში განვითარებულია ბიოსამედიცინო კვლევითი ცენტრები.

### 9. ოკლენდი, ახალი ზელანდია

ახალი ზელანდიის უმსხვილესი ქალაქი, სადაც ცხოვრობს 1,5 მლნ. ადამიანი — ესაა ქვეყნის მოსახლეობის მესამედი. ოკლენდი არის ახალი ზელანდიის მთავარი ეკონომიკური და ფინანსური ცენტრი. ქალაქის ეკონომიკას საფუძვლად უდევს ვაჭრობა და სერვისი, აქვეა საერთაშორისო კორპორაციების ოფისები. ყველაზე ძვირი უძრავი ქონება ქალაქის საქმიან ცენტრში, სადაც თავმოყრილია ბიზნეს-კომპანიების ოფისები.

### 8. ტაურანგა, ახალი ზელანდია

ქვეყნის ერთ-ერთი რეგიონის ცენტრი, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დასასვენებელი ადგილი ზელანდიელებისთვის. რეგიონი განთქმულია კივის პლანტაციებით და გადამამუშავებელი ქარხნებით, რის გამოც ტაურანგას უწოდებენ „კივის მსოფლიო დედაქალაქს“. იქვე მდებარეობს ქვეყნის უმსხვილესი პორტი.

### 7. ლოს-ანჯელესი, აშშ

ქალაქი კალიფორნიის შტატის სამხრეთ ნაწილში, წყნარი ოკეანეს სანაპიროზე. აშშ-ის ერთ-ერთი უმსხვილესი ქალაქი, რომელშიც ცხოვრობს 17 მლნ. ადამიანი. ერთ-ერთი უმსხვილესი მსოფლიო ცენტრი გართობის, კინოს, მუსიკის, ლიტერატურის, ტელევიზიის, და თეატრის სფეროში. მისი ერთ-ერთი გარეუბანია ჰოლივუდი.

### 6. სან-ხოსე, აშშ

მოსახლეობის რაოდენობით მე-3 ქალაქია კალიფორნიაში ლოს-ანჯელესის და სან-დიეგოს შემდეგ. სილიკონის ველის არაოფიციალური დედაქალაქი. აქ მდებარეობს მრავალი მაღალტექნოლოგიური კომპანიის სათაო ოფისები, მათ შორისაა Cisco Systems, Adobe Systems, BEA Systems, eBay, KLA Tenco.

### 5. სანტა-კრუზი, აშშ

ქალაქი კალიფორნიაში. აქ მდებარეობს კალიფორნიის უნივერსიტეტი. ქალაქის მოსახლეობას ძირითადად წარმოადგენენ მდიდარი ადამიანები, რომლებსაც იზიდავს სიმშვიდე, ლამაზი ბუნება, კარგი კლიმატი, სიშორე მსხვილი ქალაქებისგან, და წყნარ ოკეანესთან სიახლოვე.

### 4. მელბურნი, ავსტრალია

ავსტრალიის სიდიდით მეორე ქალაქი, ცხოვრობს 4 მლნ. ადამიანი. ქვეყნის მთავარი კომერციული, სამრეწველო, კულტურული და სპორტული ცენტრი.

### 3. სიდნეი, ავსტრალია

ავსტრალიის ყველაზე დიდი და ძველი ქალაქი, სადაც ცხოვრობს 5 მლნ. ადამიანი. ქალაქი ცნობილია საოპერო თეატრით და პლაჟებით.

### 2. ვანკუვერი, კანადა

კანადის სიდიდით მე-3 ქალაქი, ქვეყნის უმსხვილესი სამრეწველო ცენტრი, პროვინცია ბრიტანული კოლუმბიის დედაქალაქი. აქვეა ქვეყნის უმსხვილესი საზღვაო პორტი, რომლის წილი კანადის მშპ-ში შეადგენს 10,5 მლრდ. დოლარს. ბოლო წლებში ქალაქში სწრაფად ვითარდება მაღალი ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები და ასევე კინოინდუსტრია.

### 1. ჰონკონგი

მსოფლიოს ყველაზე ძვირი ქალაქი. ჰონკონგის ეკონომიკა ეფუძნება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, დაბალ გადასახადებს, სახელმწიფოს ჩაურევლობას ეკონომიკაზე. უმნიშვნელოვანესი ფინანსური და სავაჭრო ცენტრი აზიაში, ქალაქი ასევე პირველია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მსხვილი კომპანიების შტაბ-ბინების კონცენტრაციის მხრივ. ყველაზე მდიდარი ქალაქი ჩინეთში.

◎ წინ, საქართველოვ!

# ტრიუმფალური დასაწყისი



**სერბეთში მიმდინარე 23-წლამდელთა ევროპირველობის სასტარტო საფინალო დღეს საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა 5 წონითი კატეგორიიდან 4 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა.**

კონტინენტის ჩემპიონები ნუგზარ წურწუმია (55 კგ.), ლევან ქავჯარაძე (63 კგ.), გურამ ხეცურიანი (87 კგ.) და ზვიად პატარიძე (130 კგ.) გახდნენ, ბრინჯაოს მედალი კი ბექა მამუკაშვილს (77 კგ.) ხვდა.

ბუნებრივია, „ჯვაროსნები“ საერთო გუნდურ ჩათვლაში 115 ქულით დამაჯერებლად ლიდერობენ. მეორე ადგილზე რუსეთია (77 ქულა), მესამეზე — თურქეთი (65). დავძენთ, რომ ჩვენებურებს კიდევ 4 მედლის მოპოვების შანსი აქვთ: ჩემპიონობისათვის რამაზ ზოიძე (72 კგ.) და გიორგი მელია (97 კგ.) მოსინჯავენ ძალებს, ბრინჯაოს მედლისათვის ირაკლი ძიმისტარიშვილი (60 კგ.) იჭიდავებს, ხოლო ასევე „ბრინჯაოსათვის“ დამამშვიდებელ წრეში გააგრძელებს ბრძოლას გიორგი კურტანიძე (67 კგ.).

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ ჭადრაკი

# ყაიმი ინდოეთთან

**საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა, რომელიც მოქმედი გვირგვინოსანია, მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის სასტარტო ტურში ინდოეთთან ყაიმი გააფორმა.**



პრინციპულ მეტოქესთან ჭიდილში პარტიის მოგება ნინო ბაციაშვილმა მოახერხა, მერი არაბიძე დამარცხდა, ბელა ხოტენაშვილმა და სალომე მელიამ კი ქულები გაიყვეს. შეგახსენებთ, რომ პლანეტის პირველობა ასტანაში წრიული სისტემით — 9 ტურად იმართება.

რუსეთი — ყაზახეთი 3:1, სომხეთი — ეგვიპტე 4:0, ჩინეთი — უნგრეთი 3,5:0,5, აშშ — უკრაინა 2:2.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

# ბნელა?!

**საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ მსოფლიო რაგბის ახალი ლიგის, მსოფლიო ლიგის შექმნასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე საკუთარი პოზიცია მკვეთრად გამოხატა.**



მან მსოფლიო რაგბის ინიციატივა გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში ტიერ 2-ის დონის გუნდები ერთობლივ განცხადებას მოამზადებენ.

გოჩა სვანიძის პასუხს უცვლელად გთავაზობთ:

**„ძვირფასო მეგობრებო,**

**მსოფლიო მასშტაბით რაგბის ყველა გულშემატკივარი შეძრა იმ ინფორმაციამ, რომელიც გასულ კვირაში მსოფლიო რაგბის შესაძლო განვითარებაზე გავრცელდა.**

**მე კატეგორიული ვიქნები და ვიტყვი, რომ ყველასათვის, ვისაც რაგბი უყვარს და ვინც რაგბის ფასეულობების მოზიარეა, შეუძლებელია, გავრცელებული ვერსია რაიმე ფორმით საინტერესო იყოს, გარდა რამდენიმე ცხვირაპრეხილი რეტროგრადი ჩინოვნიკისა, რომელიც საკუთარი ცხვირის იქით ვერავის ხედავს. ასეთად მეჩვენება მსოფლიო რაგბის რამდენიმე ჩინოვნიკი, რომელთა თავშიც მომწიფდა ასეთი აზრი და ეს აბსოლუტურად მიუღებელია ყველასთვის (უპირველესად — მისი „რაინდი“ თავმჯდომარე ბილ ბომონტი – რედ.).**

**ჯერ კიდევ 2016 წელს მსოფლიო რაგბიმ იმსჯელა სპორტის ამ სახეობის განვითარების შესაძლო ერთ-ერთ ვერსიაზე და უკვე მაშინვე მოგვცა გარანტია, რომ 2020 წლიდან, ანუ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, უახლოესი ათი წლის მანძილზე, ნაცვლად გარანტირებული ერთი თამაშისა, მინიმუმ გვექნებოდა ორი თამაში ტიერ 1-ის ქვეყნებთან და ამ ორიდან ერთ-ერთი აუცილებლად ჩატარდებოდა საქართველოში. ეს იმ მომენტისთვის ჩვენ მაინცდამაინც კარგად არ მოგვეჩვენა და მეტს ვითხოვდით, რადგან მიგვაჩნია, რომ უფრო სწრაფი ტემპია საჭირო ტიერ 1-ის ქვეყნების რიგებში ჩვენი ინტეგრაციისთვის, მაგრამ იმ ვითარებაში, რაც ახლა გაცხადდა, იმასთან შედარებით საერთოდ სამოთხეა იმიტომ, რომ ეს არის ყოვლად მიუღებელი.**



რას გვერჩის ბილ ბომონტი?

**ამ მოსალოდნელი რეფორმების შესახებ ჩვენ პირველივე დღიდან ვიცოდით, ოფიციალური წყაროებიდან და არაოფიციალურადაც, და ჩვენც მივესალმებოდით ამ ცვლილებებს, თუმცა, არა ამ ფორმით, რომელმაც განვითარება ჩაკეტა და უფრო სადღაც სიბნელისკენ მიგვაქანებს.**

**პირველივე წუთიდან, რაც ეს განცხადება გაკეთდა, ჩვენ პულსზე გვიჭირავს ხელი, მუდნივი კომუნიკაცია გვაქვს კოლეგებთან, მრავალი სხვა ქვეყნის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან და არამხოლოდ მათთან, მსოფლიო და ევროპის რაგბის კავშირის წამყვან სპეციალისტებთან. მე გეტყვით ერთ რამეს, რომ 7-10 დღის განმავლობაში ტიერ 2 — ის ქვეყნები განცხადებაზე ვიმუშავებთ და იგი, შესაძლოა, გაიგზავნოს ყველა მონაწილე ქვეყნის სახელით. ამას, დარწმუნებული ვარ, შემოუერთდება ტიერ 1-ის ქვეყნების გარკვეული ჯგუფი, რომლებიც ასევე პროგრესულად აზროვნებენ, ნაცვლად იმისა, რაც ახლა მოვისმინეთ.**

**მინდა დაგამშვიდოთ, რომ ეს განცხადება მიმართულია თქვენზე, გულშემატკივრებზე. ვიცით, რომ ძალიან ნერვიულობთ. საქართველოს რაგბის კავშირი მუშაობს ამაზე. ჩვენ არ ვართ მსოფლიო რაგბის რიგითი წევრი — 2016 წლიდან გვაქვს მოპოვებული კუთვნილი ადგილი. აქედან გამომდინარე, ჩვენ გამოვიყენებთ ყველა ოფიციალურ და არაოფიციალურ საშუალებას იმისთვის, რომ რაგბი განვითარდეს და არა გაჩერდეს და სტაგნაცია განიცადოს ამ შესანიშნავმა თამაშმა. რაგბის ფასეულობების ხელყოფის უფლებას არავის მივცემთ“,** — განაცხადა გოჩა სვანიძემ.

**კობა კობახიძე**

◎ ძალოსნობა

# გიორგი ასანიძის რჩეულნი



**6-13 აპრილს ბათუმში გასამართავი ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატისთვის საქართველოს როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა ნაკრებები დასკვნით შეკრებებს გადიან.**

ვაჟთა გუნდის მთავარი მწვრთნელი **გიორგი ასანიძე** ზღვისპირეთში გამგზავრებამდე ბიჭებს დუშეთში ამზადებს, სადაც გუშინ მედიისთვის ღია ვარჯიში მოაწყო და 13-კაციანი გაფართოებული შემადგენლობაც დაასახელა:

გიორგი დოკვაძე — 55 კგ (რეზერვი),
შოთა მიშველიძე, რამინ შამილიშვილი, გოდერძი ბერდელიძე (რეზერვი) — 61,
გოგა ჩხეიძე — 67,
არჩილ მალაყმაძე — 73,
ლომია თებიძე — 81,
რევაზ დავითაძე — 89,
ანტონ პლესნოი — 96,
ირაკლი ჩხეიძე — 102.
ლაშა ტალახაძე, ირაკლი თურმანიძე, გიორგი ჩხეიძე (რეზერვი)— 109+.

ქალთა ნაკრების თავკაცმა **თემურ ჯანჯღავამ** კონტინენტური ფორუმისთვის ოთხი „ჯვაროსანი“ შეარჩია:

ხათუნა ჯიმშელეიშვილი — 49 კგ,
მაკა ვეფხვაძე- 64,
თათია ლორთქიფანიძე — 71,
ნათია გადელია — 76.

ტურნირის მსვლელობას პირდაპირ ეთერში „eurosport“ შემოგთავაზებთ.

* * *

**საქართველოს ჭაბუკ ძალოსანთა ნაკრების წევრები მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრნენ, რომელსაც ლას ვეგასი 8-15 მარტს უმასპინძლებს.** ასპარეზობაზე ჩვენი ქვეყნის ღირსებას ორი შტანგისტი — გურამ გიორბელიძე და ლაშა თაქთაქიშვილი დაიცავენ. შეგახსენებთ, რომ ჭაბუკთა ნაკრებმა მთავარ მწვრთნელ ზურაბ ანთაურის ხელმძღვანელობით საწვრთნელი შეკრება ბაზალეთში გაიარა და მისი განცხადებით, შეგირდები სრულ მზადყოფნაში არიან.

**ბეჟან დოლიძე**

◎ ფეხბურთი

# სადღაა მონარქია?!

**ყველა მხრებს იჩეჩავს — ასე როგორ დაძაბუნდა „სამეფო კლუბი“, თამაშს თამაშზე საკუთარ „სანტიაგო ბერნაბეუზეც“ კი რომ აგებსო. თანაც, წაგებებსაც ხომ გააჩნია. „რეალის“ ქომაგებს ბოლომდე არ ჰქონდათ მოშუშებული მოსისხლე მტერ „ბარსელონისგან“ მიყენებული ორმაგი იარა, რომ უკვე ახალი შეურაცხყოფის ატანა უწევთ.**

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## „რეალი“ - „აიაქსი“ 1:4

**(პირველი მატჩი 2:1)**

რამდენიმე ტურის წინათ პიტერ ბოშის გუნდმა ერედივიზიონში მძიმე მარცხი იწვნია „ფეიენოორდისგან“ — 2:6, მაგრამ ჰოლანდიელთა პრობლემები რა მოსატანია მათ ერთ დროს მრისხანე მეტოქეთა კრიზისზე, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში სამწლიანი „ბაირამობის“ შემდეგ მიმდინარე სეზონი მთლიანად ჩააგდო. მართლაც, სანტიაგო სოლარის გუნდი, მოგეხსენებათ, ევროტურნირს ვინლა ჩივის, უკვე „კოპა დელ რეისაც“ გამოეთიშა და პრემიერლიგაშიც უიმედოდ ჩამორჩა ლიდერს. ასე რომ, არგენტინელი მწვრთნელის დღეები პირენეებზე, დიდი ალბათობით, შეგვიძლია დათვლილად ჩავთვალოთ.

რაც შეეხება საპასუხო რაუნდს, სტუმრებმა ტოტალური ფეხბურთით დააჩოქეს გუნდის დისკვალიფიცირებულ კაპიტან სერხიო რამოსის გარეშე მოთამაშე ესპანელები და ძველი „აიაქსი“ გაგვახსენეს, შიშის ზარს რომ სცემდა ყველას.

## „დორტმუნდი“-„ტოტენჰემი“ 0:1

**(პირველი მატჩი 0:3)**

**გიორგი შოთაძე**



# ბიძინა ივანიშვილმა მსოფლიო მილიარდერების სიაში 465-ე ადგილიდან 365-ზე გადაინაცვლა

**ჟურნალ Forbes-ის მიერ გამოქვეყნებული სიის მიხედვით, რეიტინგში ივანიშვილმა 4,9 მილიარდი დოლარით 365-ე ადგილი დაიკავა. ერთი წლის განმავლობაში მან თავისი კაპიტალი 0,2 მილიარდი დოლარით გაზარდა. შარშან იგი მსოფლიო მილიარდერებს შორის 465-ე ადგილზე იყო.**



ქართველი მილიარდერი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების სიაში პირველად 2006 წელს გამოჩნდა, მაშინ მისი კაპიტალი 3,9 მილიარდი დოლარი იყო. ივანიშვილის მაქსიმალური მაჩვენებელი იყო 2008 წელს – 143-ე ადგილი 6,4 მილიარდი დოლარით.

Forbes-ის ლიდერთა სიის სათავეშია 131 მილიარდი დოლარით, ონლაინრიტეილერი Amazon-ის ხელმძღვანელი ჯეფ ბეზოსი. მეორე ადგილზეა Microsoft-ის დამფუძნებელი ბილ გეიტსი 96,5 მილიარდი დოლარით. ხოლო საინვესტიციო ფონდ Berkshire Hathaway-ის ხელმძღვანელმა უორენ ბაფეტმა 82,5 მილიარდი დოლარით საპატიო მესამე ადგილი დაიკავა.

სულ გამოცემამ 2 153 მილიარდერი დათვალა, რომელთა მთლიანი შემოსავალი 8,7 ტრილიონი დოლარია.

# ღვინის ექსპორტი დღითი დღე იზრდება

**2019 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოდან მსოფლიოს 32 ქვეყანაში 12,2 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული, რაც 2018 წლის ამავე მაჩვენებელს 13%-ით აღემატება. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 30 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემზე 21%-ით მეტია.**

ქართული ღვინის გადაზიდვები გაზრდილია როგორც ამერიკის, ისე აზიის, ევროპისა და ტრადიციული ბაზრების მიმართულებით. აღსანიშნავია პოლონეთის ბაზარი, რომელმაც ექსპორტიორი ქვეყნების სიაში მეხუთედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

ექსპორტი გაზრდილია ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: პოლონეთი – 42%, ჩინეთი – 7% და აშშ – 1032%; ასევე ევროპის მიმართულებით: ლიტვა – 75%, საფრანგეთი – 24%, შვედეთი – 313%, ბულგარეთი – 6%, ტრადიციულ ბაზრებსა და აზიის მიმართულებით: რუსეთი – 17%, ბელარუსი – 1389%, აზერბაიჯანი – 8% (მონღოლეთი – 189% და სხვა. ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულია: რუსეთი (8688854), უკრაინა (976482), პოლონეთი (628022), ჩინეთი (600783) და ყაზახეთი (346152). წლის დასაწყისში, სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 115-მა კომპანიამ განახორციელა.

ამასთან, მსოფლიოს 13 ქვეყანაში ექსპორტირებულია 4,2 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 89%-ით აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მსოფლიოს 10 ქვეყანაში ექსპორტირებულია 85,4 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 188% შეადგინა.

მთლიანობაში – ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ჩამოსასხმელი ბრენდის და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 43,6 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, ზრდა 2018 წლის იანვარ-თებერვლის მაჩვენებელთან შედარებით 13%-ს აღწევს.

# ქართულ და გერმანულ სკოლებს შორის ახალი საგანმანათლებლო პროგრამები იწყება

**საქართველოში მოქმედი რამდენიმე წარმატებული სკოლა 2018-2019 წლის მეორე სემესტრს სიახლეებით შეხვდა. თბილისის სკოლა-ლიცეუმ „სხივის“, რუსთავის შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორები და განათლების თემაზე მომუშავე ექსპერტები, სამუშაო ვიზიტით გერმანიაში იმყოფებოდნენ.**



ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სკოლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. მიმდინარე წლიდან ქალაქ შტუტგარდის ერთ-ერთი წამყვანი სკოლა,,ბილ შულენი“ და ქართული სკოლები თანამშრომლობის ახალ ფორმატს დაიწყებენ, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ სიახლეებს ქართულ სკოლებში, რაშიც გერმანული პარტნიორი სკოლა დაეხმარება.

**ვიზიტი საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა, ხელი მოეწერა მეგობრობისა და თანამშრომლობის მემორანდუმს. ჩვენს სკოლაში უკვე ინგლისურ ენასთან ერთად გაძლიერებულად ისწავლება გერმანულიც, რაც ჩვენს მოსწავლეებს ხელს შეუწყობს, ჩაერთონ გერმანულენოვან პროექტებში, გაცვლით პროგრამებსა და საზაფხულო სკოლებში. იგეგმება პედაგოგების გაგზავნაც გერმანიაში, რაც, ვფიქრობთ, ჩვენს სკოლას და ჩვენს პარტნიორ სკოლებს განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანს“,** – აღნიშნა სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ დირექტორმა ეკა ჩიქობავამ. ვიზიტის ფარგლებში ასევე შედგა შეხვედრა, ქართულ დელეგაციას, გერმანიის საჯარო სკოლების ექსპერტებსა და განათლების თემაზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ასევე გეგმავენ მჭიდრო ურთიერთობას შერჩეულ ქართულ სკოლებთან.

# წითელათი გარდაცვალების 3 შემთხვევა

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, სამივე გარდაცვლილი არასრულწლოვანი იყო და არც ერთ მათგანს არ ჰქონდა შესაბამისი ვაქცინაცია ჩატარებული:



**„წელს გვაქვს წითელას ეპიდაფეთქება. დღევანდელი მონაცემებით დაახლოებით, 1 იანვრიდან დღემდე, 2180-მდე შემთხვევა გვაქვს. აქედან დაახლოებით 60%-ს სჭირდებოდა ჰოსპიტალიზაცია. განსაკუთრებულად აქტიურად მიმდინარეობს დამატებითი აცრები. ამ თვენახევარში უკვე დამატებით 950 000 ადამიანია აცრილი და ამას თუ ბავშვების გეგმურ აცრებს მივუმატებთ, 2 თვეში დაახლოებით, 24 000 ბავშვი აიცრა. მაგრამ წელს უნდა ავცრათ დამატებით 350 000 ადამიანი, რომ წითელას ეპიდაფეთქება შეჩერდეს. შარშან და წელს გვაქვს 3 გარდაცვალების შემთხვევა, სამივე ბავშვი იყო და სამივე აუცრელი“,** – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

## სანთელი

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის 1963 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**იპოლიტე (ჯემალ) იპოლიტეს ძე მონიავა**

**და თანაუგრძნობენ ოჯახს მეგობრის გარდაცვალების გამო.**

**თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი**

**ჯემალ იპოლიტეს ძე მონიავა**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# ფოთში სამლოცველოს შესაწირი ყუთებიდან თანხა მოიპარეს




**ფოთში, წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიის გვერდით მდებარე სამლოცველო გაქურდეს. გატეხილია შესაწირი ყუთები, წაღებულია თანხა.**

ეკლესიის მესანთლე ამბობს, რომ ყველა ხატი ადგილზეა და დაზიანებულიც არ არის. მისივე თქმით, გატეხილია ორი შესაწირი ყულაბა.

# შემზარავი ტრაგედია თბილისში

**„პალიტრაპიდეოს“ ინფორმაციით, გლდანში მომხდარ უბედური შემთხვევის ადგილზე მისულ სასწრაფოს ექიმს გარდაცვლილი ძმა დახვდა. გლდანის მესამე მიკრორაიონში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად დაიღუპა ერთი და დაშავდა ერთი პირი.**

გარდაცვლილი 33 წლის ლევან ბუთხუზია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს უსაფრთხოების წესების დარღვევას, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

# დააკავეს ყალბი ფულის გამსაღებლები

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ყალბი ფულის გასაღების ორ ფაქტზე სამი პირი დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში ბრალდებულმა, კახეთის რეგიონში 200 ლარის ნომინალის ყალბი კუპიურა გაასაღა. ხოლო მეორე შემთხვევაში ბრალდებულებმა, ქალაქ თბილისში და შიდა ქართლის რეგიონში მდებარე სავაჭრო ობიექტებში ყალბი 100 და 200-ლარიანი კუპიურები გაასაღეს.

გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაკავებული პირებისგან ამოღებულია ჯამში 4 150 ლარის ოდენობის სხვადასხვა ნომინალის ყალბი კუპიურა. დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

# კიდევ ერთი თაღლითი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი. კ. თაღლითობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ორ მოქალაქეს მობილური ტელეფონები მოტყუებით გამოართვა და ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ი.კ. მომხდარიდან მალევე დააკავეს. პოლიციამ ორივე მობილური ტელეფონი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.





# ხანძარმა ეკლესია მთლიანად გაანადგურა, თუმცა...

**დასავლეთ ვირჯინიის შტატში, ქალაქ გრანდვიუში ხანძარმა Freedom Ministries Church-ის ეკლესია სრულიად გაანადგურა, თუმცა, ბიბლიები, რომელიც შენობაში იყო, თითქმის ხელუხლებელი დატოვა. ამის შესახებ ინფორმაციას ფეისბუქის გვერდზე Coal City-ის სახანძრო დეპარტამენტმა დაწერა და ფოტოებიც გამოაქვეყნა.**

მეხანძრეების განცხადებით, ხანძარი იმდენად ძლიერი იყო, რომ პირველად მათ შენობაში შესვლა ვერ შეძლეს.

# აშშ-მა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები ერთი წლით გაახანგრძლივა

**2014 წელს უკრაინაში განხორციელებული აგრესიის გამო დაწესებული ეკონომიკური შეზღუდვები კიდევ ერთი წლის განმავლობაში იქნება ძალაში.**




შესაბამის განკარგულებას დონალდ ტრამპმა ხელი უკვე მოაწერა. თეთრი სახლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში კი წერია, რომ რუსეთის ქმედებები, მათ შორის, ყირიმის ანექსია და უკრაინის ტერიტორიაზე სამხედრო ძალის გამოყენება, შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოებისთვის კვლავ განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს.

# გარნის სატრფიალო

**ვისი გულისსწორი არ ყოფილა ჰოლივუდში მოღვაწე გერმანელი მსახიობი ტონი გარნი. ამ ქალის მრავალფეროვან და ათასი ჯურის მამრებით სავსე ცხოვრებას რომ გადავხედოთ, იქ ისეთ ხალხს აღმოვაჩენთ, ერთი გემრიელი ფერადყდიანი ჟურნალის პერსონაჟები გამოიძერწება.**



თუკი კინემატოგრაფის მოყვარულთ ყველაზე მეტად ტონი გარნისა და ლეონარდო დიკაპრიოს ორწლიანი რომანი გაახსენდებათ, სპორტის ტრფიალთათვის ამ მხრივ საინტერესო 2015 წელია, როდესაც ვნების ალმური გერმანელ მსახიობთან ერთად ამერიკელ კალათბურთელ ჩანდლერ პარსონსსაც მოედო.

მართალია, ჩანდლერთან თანაცხოვრება სულ რაღაც ერთი წლის მანძილზე გაგრძელდა, მაგრამ ამერიკის ბულვარულ პრესაში დღესაც არ წყდება საუბარი იმაზე, რომ, შესაძლოა, ტონისა და პარსონსს შორის რაღაც ურთიერთობა ახლაც შენარჩუნებულია და, შესაძლოა, დადგეს ჟამი, როდესაც ძველი სიყვარული გაცოცხლდება. ვინ იცის...

# ბუტიკ-სასტუმრო – ჰაერში

**ავიაკომპანია Brussels Airlines-მა A330 ტიპის საჰაერო ხომალდის ახალი კაბინა წარმოადგინა, სადაც ბუტიკ-სასტუმროა განთავსებული. აღნიშნულ საჰაერო ხომალდებს ავიაკომპანია შორ მაგისტრალურ რეისებზე გამოიყენებს და წლის ბოლომდე ავიაპარკს კიდევ 7 მსგავს თვითმფრინავს შესძენს.**

ბიზნეს კლასში 30 სავარძელი ჭადრაკულ სტილშია განლაგებული. სავარძლის სირბილე რეგულირდება და საჭიროების შემთხვევაში, ის საწოლადაც გარდაიქმნება. გარდა ამისა, ყოველ სავარძელს 15,6-დიუმიანი ეკრანი გააჩნია, რომლის გამოყენებაც მგზავრს სურვილისამებრ შეეძლება. თვითმფრინავში განთავსებული იქნება ასევე ბარი და მგზავრი თვითმომსახურების პირობებში მიიღებს სასურველ სასმელს თუ კერძს.




# თურქეთი სერიალების ექსპორტით მსოფლიოში მეორე ადგილზეა

**ქვეყნის კულტურისა და ტურიზმის მინისტრის მეჰმეთ ნური ერსოის განცხადებით, თურქეთს სატელევიზიო სერიალების ექსპორტში, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ მეორე ადგილი უკავია. ერსოიმ აღნიშნა, რომ თურქეთმა ექსპორტირებული სერიალების კუთხით დიდ მაჩვენებლებს მიაღწია და ამასთანავე იგი უკვე ფლობს 350 მილიონი დოლარის ბიუჯეტს.**

მისივე თქმით, სამინისტრო სატელევიზიო სერიალების ექსპორტის სათანადოდ გაზრდისათვის მუშაობს და სურთ, თურქული სერიალები იმ ქვეყნებში, სადაც ეკრანებზე გავა, სწორად იქნას მაყურებლისთვის გაცნობილი.




## დახმარების მსურველთა საყურადღებოდ!

## მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე" – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!


სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.6749; ევრო - 3.0296;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5226
100 რუბლი - 4.0650; თურქული ლირა - 0.4978;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5780;
1000 სომხური დრამი - 5.4545.

**ამინდი 7 მარტისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე | +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე | +9 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე | +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე | +7 |
| თბილისი: | ღამე | +5, | დღე | +11 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**

ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge